



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ტარტარაშვილი ლევან

ინვესტიციების მასტიმულირებელი მაკროეკონომიკური
პოლიტიკა

სამაგისტრო პროგრამა - ეკონომიკა
ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარინა ტაბატაძე,
ასისტენტ პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა. ნაშრომში განხილულია ინვესტიციების როლი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებებში და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, შეფასებულია ინვესტიციების არსი, სტრუქტურა, საინვესტიციო სისტემის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძვლები, ასევე გაანალიზებულია ინვესტიციების მაკროეკონომიკური როლი.

ინვესტიციების ნაკადი ყოველწლიურად იცვლება, რაც არაპროგონიზრებადს ხდის ქვეყანაში მაკროეკონომიკურ სიტუაციას. ინვესტიციები ხელს უწყობს ინტენსიურ წარმოებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ინოვაციური პროდუქტების დანერგვას, სამეწარმეო და ინფრასტრუქტურული სექტორის მიერ მომხმარებლისათვის ახალი საქონლისა და მომსახურების შეთავაზებას.

ნაშრომში განხილულია ინვესტიციებზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც მის სტიმულირებას ახდენენ. ასევე, მოცემულია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ინვესტიციებთან დანახარჯების მინიმიზაციის და წარმოების პროდუქტიულობის ზრდის თვალსაზრისით.

განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მახასიათებლები, მისი განხორციელებისა და სტიმულირების ფორმები, საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები, შეფასებულია საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო და განსაზღვრულია მისი როლი ეკონომიკაში.

ნაშრომში შეფასებულია ურთიერთკავშირი საინვესტიციო სისტემის ფუნქციონირებასა და ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების ტენდენციებს შორის. ამ მიზნით მოცემულია, ერთი მხრივ, საინვესტიციო პოლიტიკის გავლენა მდგრადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ნაჩვენებია ინვესტიციების სტიმულირებაზე სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის გავლენის მექანიზმები და თავისებურებები.

Annotation

The most important task of the investment policy in the long run is to promote the sustainable economic development of the country. The paper discusses the role of investments in macroeconomic policy changes and, consequently, in improving the economic situation of the country, assesses the essence, structure, legal and institutional foundations of the investment system, and analyzes the macroeconomic role of investments.

The flow of investments changes every year, which makes the macroeconomic situation in the country unpredictable. Investments promote intensive production, new jobs are created, new enterprises are introduced, innovative products are introduced in the country, new types of goods and services are offered to customers.

The paper discusses the factors affecting investment that stimulate it. The connection between technology and innovation and investment is discussed, that their combination allows us to minimize costs, which ultimately affects the productivity of production.

The main characteristics of foreign direct investment, the forms of its implementation and incentives, the main priorities of investment policy are discussed, the investment environment in Georgia is assessed and its role in the economy is defined.

The paper evaluates the relationship between the functioning of the investment system and the macroeconomic development trends of the country. To this end, on the one hand, the impact of investment policy on the formation of a sustainable economic environment is given, and on the other hand, the mechanisms and features of the influence of the state macroeconomic policy on investment stimulation are shown.

შინაარსი

შესავალი	5
თავი 1. საინვესტიციო გარემო და ინვესტიციების პროგნოზირების საკითხები	8
1.1 ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი	8
1.2 საინვესტიციო გარემოს სრულყოფის თანამედროვე გლობალური ტენდენციები	15
თავი 2. უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკაზე	20
2.1 უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ძირითადი მიმართულებები და ფორმები	20
2.2. უცხოური ინვესტიციების მიზიდულობა და მათი დინამიკა საქართველოში	30
თავი 3. საქართველოს საინვესტიციო გარემოს შეფასება	37
3.1 საინვესტიციო გარემო და ინვესტირების არსებული სამართლებრივი სტანდარტები საქართველოში	37
3.2 საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები	43
3.3. საინვესტიციო გარემოს სრულყოფის სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში	51
დასკვნა	57
დანართი	60
გამოყენებული ლიტერატურა	61

შესავალი

თემის აქტუალობა. მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ყველაზე ცვალებადი კომპონენტია ინვესტიციები. ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დიდ როლს თამაშობს. ინვესტიციების ჭარბი რაოდენობით მოზიდვა განაპირობებს კვლავწარმოების უწყვეტობას. მისი ზეგავლენის არეალი ეკონომიკურ სექტორზე საკმაოდ დიდია. ხორციელდება სოციალური პროექტები, ინერგება ახალი ინოვაციური პროდუქტები, ხელს უწყობს წარმოების მოცულობის ზრდას, მოსახლეობის მუდმივ ჩართულობას ეკონომიკურ საქმიანობაში და ადამიანისეული კაპიტალის დახვეწას.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ცდილობს, უცხოურ ინვესტიციებს ხელსაყრელი გარემო პირობები შეუქმნას, რათა სწორედ მათთან დააბანდონ კაპიტალი. ინვესტიციების სტიმულირებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: რბილი საგადასახადო სისტემა, იაფი ადამიანისეული კაპიტალი, სტაბილური სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, ბუნებრივი რესურსების სიუხვე, თავისუფალი ბაზარი, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კორუფციის დაბალი მაჩვენებელი და სხვ.

საქართველოში მოსახლეობის დაბალი შემოსავლიანობის გამო დიდ ნაწილს არ აქვს შესაძლებლობა, დააბანდოს კაპიტალი და დაზოგოს ფული. ეს გარემოება მიგვითითებს ინვესტიციების მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით. უცხოური ინვესტიციები ადგილობრივი ვალუტის გაცვლითი კურსის გამყარებას უწყობს ხელს.

ქვეყნის ეკონომიკის ძირითად პრიორიტეტს ინვესტირების მაღალი მაჩვენებელი წარმოადგენს, როგორც უცხოური კაპიტალდაბანდების, ისე შიდა ინვესტიციების კუთხით. საქართველოში ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინვესტიციების მოცულობის ზრდის პროგნოზზე. ჭარბი ოდენობით ინვესტიციების მოზიდვისთვის კი მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს სრულყოფა და გამართული ფუნქციონირება. კაპიტალდაბანდების გარემოს ფაქტორებიდან მნიშვნელოვანი წონა ინსტიტუციურ ფაქტორებზე მოდის, ხოლო ინსტიტუციური საკითებიდან მნიშვნელოვანი რბილი საგადასახადო პოლიტიკის არსებობაა. რბილი საგადასახადო ფაქტორების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც მცირე ბაზრით ხასიათდებიან, მათ შორის საქართველოსთვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს მნიშვნელოვან შეღავათების პაკეტს სთავაზობს. უცხოური კაპიტალდაბანდებების მიმართულებით ლიბერალური პოლიტიკის მაგალითია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმებები, რომლებიც მოქმედებს ქვეყნის სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებთან.

საგადასახადო კოდექსში დაფიქსირებული პოლიტიკა ქმნის სტიმულს დაზოგვისა და ინვესტიციებისათვის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმების დადება, ერთი მხრივ, გარკვეულ ეტაპზე ამცირებს სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლებს, ხოლო, მეორე მხრივ, ეფექტიანია საბიუჯეტო შემოსავლების გარკვეულ ნაწილზე უარის თქმა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია, მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენის შესწავლა ინვესტიციების სტიმულირებაზე. ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება და ინვესტიციების მოზიდვაზე მათი გავლენის განსაზღვრა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- საქართველოს ეკონომიკაში საინვესტიციო პროექტების ეფექტიანი განხორციელების პრობლემის გამოვლენა;
- მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებების დადგენა, რომლებიც გავლენას ახდენენ ინვესტიციების სტიმულირებაზე;
- საგადასახადო ფაქტორების როლის შეფასება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვის პროცესში;
- საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში უცხოური კაპიტალდაბანდებების მასტიმულირებელი ფორმების განსაზღვრა.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია მაკროეკონომიკური პოლიტიკის მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენს ინვესტიციების სტიმულირებაზე. ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და ინვესტიციებს შორის კავშირის ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომში გამოყენებულია ქართველი მეცნიერების კვლევები, მათი პუბლიკაციები და სამეცნიერო სტატიები. კვლევის წინაშე არსებული

თეორიული და გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტისას დამუშავებული და გამოყენებულია დიაგრამები, ცხრილები, გრაფიკები და სისტემური ანალიზის მეთოდები. კვლევის, როგორც ემპირიულ, ისე ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ნაშრომები, სტატიები, ეკონომიკური გამოცემები, ფაქტები, დებულებები და დასკვნები.

თავი 1. საინვესტიციო გარემო და ინვესტიციების პროგნოზირების საკითხები

1.1 ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი

ლინგვისტური თვალსაზრისით, ინვესტიცია ლათინური სიტყვაა და შემოსავალს ნიშნავს. დროთა განმავლობაში ინვესტიციების განმარტებამ ახალი მნიშვნელობები მიიღო. ინვესტიციებში იგულისხმება გარკვეული ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით აქციებისა და ობლიგაციების შექმნა, ასევე, როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი აქტივების ფლობა. მაგალითად, გარკვეული საქონლისა და მომსახურების გაწევისთვის საჭირო ფასიანი ქაღალდები, აქციები, ტექნოლოგიები, კრედიტები, ქონებრივი უფლებები, ინტელექტუალური ღირებულებები. ფართო გაგებით ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადი სოციალურ-პოლიტიკური გარემოს გაჯანსაღებას უზრუნველყოფს.

„ინვესტიციის მნიშვნელობა დღეს უფრო ფართო მასშტაბს იძენს და გამოიყენება მრავალ სფეროში. დღევანდელი გადმოსახედით ინვესტიცია მოგების მიღების მიზნით არაფინანსური და ფინანსური აქტივების დაბანდებას აღნიშნავს [ვ. ჭარაია, 2015:9]. „ინვესტიციები ხელს უწყობს ეროვნულ ეკონომიკაში ძირითადი კაპიტალის ზრდას და ამით ზემოქმედებს ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებასა და მის განვითარებაზე“ [რ. კლუმბი, 2015:156].

ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს პროცესს, როდესაც კაპიტალის გარკვეული რაოდენობა (იქნება ის ადგილობრივი თუ უცხოური) მიემართება ეკონომიკის წინასწარ განსაზღვრულ სექტორში, სფეროსა თუ დარგში მოგების მიღების მიზნით.

კეინზიანური მსჯელობით, თეორიის დადებითი გავლენა დაკავშირებულია მაკროეკონომიკური შეხედულებების ჩამოყალიბებასთან. კეინზის მტკიცებით, მასტიმულირებელი ინვესტიციური ფაქტორებიდან უნდა გამოიყოს მოგების მაჩვენებელი, დაგროვების მაჩვენებელი და საპროცენტო განაკვეთი. „აგრეთვე ინვესტიციების კეინზიანური თეორია ითვალისწინებს ფირმების ინვესტიციური ქცევის ქმედითი სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და კონტროლის აუცილებლობას“ [J. Keynes, 1936:32-38].

ინვესტიციების ჭარბი რაოდენობა, კეინზის მტკიცებით, იწვევს დასაქმების საერთო დონის ზრდას, აფართოებს წარმოებას, რაც დაკავშირებულია მოხმარებისა და შემოსავლის ზრდასთან. აღნიშნულ დამოკიდებულებას კეინზი „უწოდებს მულტიპლიკატორს, ხოლო შედეგად მიღებულ ეფექტს მულტიპლიკაციურს“ [ვ. მოსიაშვილი, 2014:121].

ინვესტიციების ყველაზე განზოგადებული განმარტების თანახმად, დღეს უნდა დავთმოთ ჩვენი მოთხოვნილება იმისათვის, რომ ხვალ უკეთესი მივიღოთ, რაც გულისხმობს დღევანდელი მოთხოვნილების გაცვლის აქტს მოთხოვნის სამომავლო დაკმაყოფილებაზე. აუცილებელი პირობაა, რომ საოჯახო მეურნეობებმა გაიმეტონ ფული ახლა, რათა მიიღო მეტი პერსპექტივა სამომავლოდ.

ინვესტიციები სხვადასხვა ფორმით განხორციელებულ გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებებს წარმოადგენს მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით (ინტელექტუალური ფასეულობები, აქციები, ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაზრები და სხვ.). როგორც წესი, ინვესტირება ხორციელდება, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზარზე. ინვესტიციათა ძირითადი ნაწილი ხორციელდება ინოვაციურ სფეროებში, სოციალურ პროექტებში, ეკონომიკურ პროგრამებსა და სამეწარმეო პროექტებში. ამიტომ ეფექტიანია მთავრობის მხრიდან ამ მიმართულებების წახალისება.

ამრიგად, ინვესტიციების განსაზღვრება ორი სახისაა: პირველი - ტექნიკური, (როდესაც ინვესტიცია უდრის დანახარჯების ჯამს). მეორე - არსობრივი, ანუ ეკონომიკური (როდესაც ინვესტიცია არის მომავალში მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება). ორივე მიმართულება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთმანეთისგან გამომდინარეობს.

საინვესტიციო ბაზარი ორი მხარის შეხვედრის ადგილია: პირველი, ვინც კაპიტალდაბანდებას ახორციელებს (პირი ან კომპანია, რომელსაც სურს, საკუთარი დანაზოგების ინვესტირება მოახდინოს მომავალში მოგების მიღების მიზნით) და მეორე - ვისაც გააჩნია ფულზე მოთხოვნა. ამ ორი მხარის შეხვედრის ადგილი ფინანსური ბაზრებია. ზოგჯერ შუამავლები არ მონაწილეობენ ეკონომიკურ საქმიანობაში, მაგალითად, როგორცაა ქონებრივი ფასეულობა (უძრავი ქონების გაყიდვა). აქ გარიგების პროცესს მყიდველები და გამყიდველები წარმართავენ.

ფინანსური ბაზრის არსის განსაზღვრისათვის აუცილებელია მისი სტრუქტურის განხილვა. ფინანსური ბაზარი შედგებაა ორი ელემენტისგან: ფასიანი ქაღალდები და სასესხო კაპიტალი. ფასიანი ქაღალდები მოიცავს საფონდო ბაზარს, ხოლო სასესხო კაპიტალი აერთიანებს საკრედიტო ფულად რესურსებს.

ინვესტიციებისა და სამობილიზაციო ნაწილების ურთიერთშეთანხმებული ფუნქციონირება გვეხმარება კარგად წარმოვაჩინოთ ფასიანი ქაღალდების არსი. მოთხოვნები ინვესტიციაზე იწვევს თავისუფლად მყოფი ფულადი სახსრების შემოთავაზებას. იმისათვის, რათა ინვესტირება განხორციელდეს, აუცილებელი არაა მხოლოდ ნასესხები ფული. შესაძლებელია ინვესტირება როგორც სახელმწიფოს სახსრებით, ისე საკუთარი სახსრებითაც მოვახდინოთ. რესურსების მოძრაობა იწყება სახსრების მობილიზებით და სრულდება გარკვეულ პროექტებსა თუ ღონისძიებებში ინვესტირებით. როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას ინვესტირებაზე, უნდა გავანალიზოთ არსებული რისკ-ფაქტორები. ინვესტირების მოსალოდნელი შედეგების შესაფასებლად, არსებობს შემდეგი მეთოდები:

- 1) **სუფთა დღევანდელი ღირებულება** - დღევანდელი ღირებულებით განისაზღვრება მომავალში მისაღები შემოსავლები;
- 2) **უკუგების საპროცენტო განაკვეთი** - გაწეული დანახარჯები ფასდება პროექტის დასრულების შემდგომ მიღებული შედეგებით;
- 3) **ინვესტიციის ამოღების მეთოდი** - ინვესტირების განხორციელების შემდგომ მასზე გაწეული დანახარჯების უკან დაბრუნება.

არსებობს ბევრი რისკ-ფაქტორი, რომლებიც თავს იჩენენ ინვესტირების განხორციელებამდე:

- **ეკონომიკური რისკი** - რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურებში განხორციელებულმა ცვლილებებმა. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებების ინვესტირების პროცესსა და მოსალოდნელ უკუგებაზე შესაძლო გავლენა შეფასებას მოითხოვს;
- **ტრანსფერის რისკი** - ქვეყნის გარეთ კაპიტალის გატანის ალბათობა;
- **ინფლაციის რისკი** - საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც გვეხმარება ინფლაციის პროგნოზირებაში, აფასებენ გასაღების ბაზრების ფუნქციონირებასა და გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობას;

- ადგილმდებარეობის რისკი - რეგიონში განვითარებული უარყოფითი მოვლენები, რაც ინვესტირებას საფრთხეს შეუქმნის;
- პოლიტიკური რისკი - რომელიც მოიცავს ქვეყანაში პოლიტიკურ და სამოქალაქო არასტაბილურობას.

არსებობს ინვესტიციების რამდენიმე სახე. ცალკეული მახასიათებლების მიხედვით ინვესტიციები შემდეგი სახით კლასიფიცირდება:

1. საინვესტიციო რესურსების ხასიათის მიხედვით არსებობს ინვესტიციების სამი ტიპი:

- I. რეალური (პირდაპირი, მატერიალური) ინვესტიციები;
- II. პორტფელური (ფინანსური) ინვესტიციები;
- III. ინტელექტუალური ინვესტიციები (ინვესტიციები არამატერიალურ აქტივებში).

რეალური ინვესტიციები - ძირითადი ფონდების შესაქმნელად საჭიროა კაპიტალდაბანდებები, რომლებიც მოიცავს:

- გამიზნულ ინვესტიციებს, რათა გაიზარდოს წარმოების მასშტაბი;
- პირდაპირ მიმართულ ინვესტიციებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ გაფართოებულ კვლავწარმოებას;
- რეალურ ქონებრივ ინვესტიციებს.

რეალური ინვესტიციების მოზიდვას საკმაოდ დიდი როლი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკურ თუ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვინაიდან ეს ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში. ქვეყნის საბანკო და ეკონომიკური სიძლიერე ჯერ კიდევ არ იმყოფება შესაბამის დონეზე, რომ შეძლოს ქვეყნის ეკონომიკის დაბალპროცენტიანი სესხებით მომარაგება.

ფინანსური ინვესტიციები - პორტფელურ, იგივე ფინანსურ ინვესტიციებს „ცხელ ფულსაც“ უწოდებენ და მისი მოკლევადიანობიდან გამომდინარე, უთანაბრებენ კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებს. ქვეყანაში, როგორც კი შეინიშნება უარყოფითი ეკონომიკური ცვლილებები, ინვესტორი მაშინვე ტოვებს ბაზარს.

პორტფელური და რეალური ინვესტიციები არსებობენ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ ბაზარზე და განეკუთვნებიან ინვესტიციური ნაკადების მთავარ სახეობას. ორივე ინვესტირების ხერხში ხშირ შემთხვევაში მსგავსება შეინიშნება, ხოლო განსხვავება კაპიტალდაბანდების განხორციელების გზებში არსებობს. ხშირად

საფინანსო და პირდაპირი ინვესტიციები საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი გზაა.

ინტელექტუალური ინვესტიციები - საბაზრო ეკონომიკის განვითარება თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში დამოკიდებულია ინოვაციებზე, ინოვაციურ მეწარმეობაზე. იმისათვის, რომ მეწარმეებმა ბაზარზე არსებულ კონკურენციას გაუძლონ, აუცილებელია, მომხმარებელს მიაწოდონ კონკურენტული მომსახურება დაბალი დანახარჯებით. ინტელექტუალური ინვესტიციების არსი გამოიხატება მათ უნარჩვევებში:

1. მოახდინონ ინვესტირებული კაპიტალის უკუგება ისე, რომ ხელი შეეწყოს ტექნოლოგიური სფეროს განვითარებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია დაბალი დანახარჯები, რეკონსტრუქციას დაქვემდებარებული და აუსრულებელი ობიექტების დაფინანსება, მატერიალიზაციის ხელშეწყობა, ოპტიმალურ ვადაში მოქმედ საწარმოებში წარმოების საშუალებების აღწარმოება, მაღალი ანაზღაურებადობის მაქსიმიზაცია დაბანდებულ თანხებთან მიმართებაში.

2. ინვესტირების ხანგრძლივობიდან გამომდინარე განასხვავებენ მოკლევადიან და გრძელვადიან ინვესტიციებს. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული კრიტერიუმი არ არსებობს, მიჩნევენ, რომ ინვესტიცია, რომელიც 5 წლამდე პერიოდს მოიცავს, მიეკუთვნება მოკლევადიან ინვესტიციებს; ხოლო ხანგრძლივი ვადით - გრძელვადიან ინვესტიციებს. არსებობს ეკონომისტთა გარკვეული კატეგორია, რომლებიც ერთ წლამდე ინვესტიციებს მიიჩნევენ მოკლევადიანად, ხოლო ერთი წელზე მეტი დროით არსებულს - გრძელვადიანად.

2. საკუთრების ფორმის მიხედვით ინვესტირების რესურსები ნაწილდება შემდეგანაირად:

- **კერძო ინვესტიციები** - რომელსაც ოჯახური მეურნეობები და კერძო პირები ახორციელებენ;
- **სახელმწიფო ინვესტიციები** - ქვეყნის მმართველი ორგანოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები.

განვითარებად, განვითარებულ და ე.წ. მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ეკონომიკური კეთილდღეობისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ინვესტიციები.

მიუხედავდ იმისა, რომ ინვესტიციები ქვეყნის სოციალური-ეკონომიკურ განვითარებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, მათი სწორად მართვა და განხორციელება საკმაოდ რთულია. სახელმწიფო ინვესტიციების გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე განსაზღვრავს შემდეგ ფაქტორთა ერთობლიობა: ეკონომიკური ციკლის ეტაპი, ქვეყნის განვითარების დონე, განხორციელებული ინვესტიციების ტიპი და დაფინანსების წყარო.

სახელმწიფო ინვესტიციები მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტის დროს განსხვავებულია. მოკლევადიანი ეფექტი პიკშია, როდესაც დაფინანსებულია დეფიციტურად, არის საბაზრო ტიპის და რეცესიის პერიოდში იმყოფება. გრძელვადიანი ეფექტის შემთხვევაში, არის ალბათობა იმისა, რომ ნეიტრალურად დაფინანსებულ ინვესტიციებს უფრო დიდი მაჩვენებელი ჰქონდეს. აგრეთვე, დაბალშემოსავლიან და ინვესტიციების მაძიებელ ქვეყნებში (განვითარებადი ქვეყნები), შესაძლოა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის უკუგებას აღმატებოდეს სოციალური ინფრასტრუქტურის გრძელვადიანი უკუგება. მაგრამ რაც შეეხება ადგილობრივ დონეზე არსებულ ინფრასტრუქტურულ ხარჯებს, არსებული კვლევის შედეგად, *„ადამიანური რესურსი და ადგილობრივი მთავრობის ინსტიტუტები ის მთავარი ფაქტორია, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონის ეკონომიკურ მაჩვენებლებს და უზრუნველყოფენ სახსრების ეფექტიან გამტარობას“¹.*

ამასთანავე, გამოიყოფა შემდეგი ტიპის ინვესტიციები:

- **უცხოური** - საზღვარგარეთიდან განხორციელებული ინვესტიცია, რომელიც შესაძლოა განახორციელოს როგორც სხვა ქვეყნის მთავრობამ, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქემ ან ორგანიზაციამ;
- **შერეული** - ინვესტიციები, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო, უცხოურ და კერძო ინვესტიციებს.

3. რეგიონული ნიშნის მიხედვით ინვესტიციები კლასიფიცირდება შემდეგი სახით:

- **ქვეყნის შიდა ინვესტიციები**
- **საერთაშორისო ინვესტიციები**

სავალუტო ფონდის მიხედვით საერთაშორისო ინვესტიციები იყოფა სამ ნაწილად: პირდაპირ, პორტფელურ და სხვა ტიპის ინვესტიციებად.

¹ სახელმწიფო კაპიტალური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკაზე: ემპირიული კვლევების მიმოხილვა <http://pbo.parliament.ge/ge/rs/theme/>

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (პუი), - არის პირდაპირი ინვესტიცია უცხოური საწარმოს, კერძო პირის მიერ, რა დროსაც ხდება ადგილობრივი საწარმოს შესყიდვა ან მისი გაფართოება მოგების გაზრდის მიზნით.

4. დაბანდების ობიექტის მიხედვით განასხვავებენ რეალურ და პორტფელურ ინვესტიციებს. დაბანდებები დივიდენდის მიღებისა და შემდგომი კურსის ცვლილების მიზნით, პორტფელური ინვესტიციებია; ხოლო დაბანდებები ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებისა და სამრეწველო-მატერიალური მარაგების ზრდის მიზნით - რეალური ინვესტიციები. ხშირად ინტელექტუალური ინვესტიციები ერთიანდება რეალურ ინვესტიციებში.

5. დაბანდების არეალის მიხედვით განსხვავდება წმინდა და მთლიანი ინვესტიციები.

- მშენებლობისა და მარაგების გაზრდისაკენ, ასევე მანქანა-დანადგარების შეძენისაკენ მიმართულ დანახარჯებს, მიაკუთვნებენ მთლიან ინვესტიციებს;
- კაპიტალის ნაზრდზე დანახარჯები წარმოადგენს წმინდა ინვესტიციებს, მაშინ, როდესაც მთლიანი ინვესტიციები დაკავშირებულია აღდგენისა და დაგროვების ფონდთან. მის წყაროა ფირმის მოგება.

6. ინვესტიციები მათი მონაწილეობიდან გამომდინარე არის:

- პირდაპირი ინვესტიციები;
- არაპირდაპირი ინვესტიციები;
- შუალედური ხასიათის ინვესტიციები.

პირდაპირი ინვესტიციებია, როდესაც კაპიტალდამბანდებელი უშუალოდ ინვესტირების პროცესში მონაწილეობს (ობიექტის შერჩევა, კაპიტალის დაბანდება). ხოლო, როცა ინვესტირებას ახორციელებს სხვა სუბიექტი, საქმე გვაქვს არაპირდაპირ ინვესტირებასთან. თუ გამოიყენება საკუთარი ფულადი კაპიტალი, ეს უკვე შუალედური ტიპის ინვესტიციებია.

ინვესტიციების განხორციელება და დაგეგმვა მოიცავს გარკვეულ ეტაპებს, მაგალითად, ბაზრის კვლევა, სახსრების მოძიება და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ინვესტირების პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდეს. პრაქტიკაში დანერგილია ინვესტირების შემდგომი ეტაპები: „A - მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარება; B - ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; C - თავისუფალი საკუთარი სახსრების ან საფინანსო ბაზარზე ინვესტიციების მოზიდვა; D - საწყისი საინვესტიციო

დაბანდებანი; E - საწარმოო ეტაპი; F - სასაქონლო ეტაპი; G - ფულადი ეტაპი.² ინვესტირების პროცესის თითოეული ეტაპი მიმდინარეობს მისთვის განკუთვნილ ბაზარზე.

საინვესტიციო პროცესის სწორად განხორციელება დამოკიდებულია შემდგომ ფაქტორებზე:

ა) თითოეული ეტაპის მიზანმიმართული განმეორებადობა;

ბ) თითოეული ეტაპის თანმიმდევრული განხორციელება, როგორც მომდევნო ეტაპის მყარი საფუძვლისა (მაგალითად, ეტაპი A - მარკეტინგული კვლევების ჩატარება და ეტაპი B - ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება) .

გ) თითოეულ ეტაპზე სრული ფოკუსირების მოხდენა;

1.2 საინვესტიციო გარემოს სრულყოფის თანამედროვე გლობალური ტენდენციები

საინვესტიციო გარემო წარმოადგენს სისტემას, რომელიც დამოკიდებულია მიკრო და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. რადგან ის ყალიბდება სხვადასხვა პროცესისა და მოვლენის დაკავშირების საფუძველზე. შესაბამისად, მდგრადი საინვესტიციო გარემო განაპირობებს ინვესტიციების ჭარბ მოზღვავებას ქვეყანაში.

საინვესტიციო გარემოზე ბევრი ფაქტორი ზემოქმედებს, რომელთაგან უნდა აღინიშნოს მაკროეკონომიკური პარამეტრები, საშინაო და საგარეო ვალი, ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონე, რბილი საგადასახადო გარემო, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კერძო საკუთრება, რისკები (პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური), ფორსმაჟორული სიტუაციები და სხვ.

აღნიშნული ფაქტორებიდან ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა არის ერთადერთი ფაქტორი, რომელზეც სახელმწიფოს არ შეუძლია ზემოქმედება. ქვეყანამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტები და შექმნას ისეთი საინვესტიციო გარემო, რომელიც ინვესტორს მიიზიდავს და ყველა არსებული ვარიანტიდან არჩევანს სწორედ იმ ქვეყანაზე გააკეთებს, სადაც განახორციელებს კაპიტალდაბანდებას. საინვესტიციო გარემო ქვეყანაში უნდა იყოს ისეთი, რომ გრძელვადიან პერიოდში ინვესტიციების

² საქართველოს საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები.<http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00--off-0ekonomik--00-1----0-10-0--0--0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASH30e9b9383dc3dae95c178d>=1>

მოზიდვის კუთხით ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა. მნიშვნელოვანია არსებული ინვესტორების შენარჩუნებაც. საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორებიდან გამომდინარე სავსებით რეალურია, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში საინვესტიციო გარემო იყოს მიმზიდველი ან სულაც არაეფექტიანობით ხასიათდებოდეს, რაც თვალშისაცემია ინვესტორთათვის. ასე რომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემების წინასწარი კვლევა, ბაზრის კონიუნქტურის შეფასება, რისკფაქტორების განსაზღვრა და სხვა მაჩვენებლების გაანალიზება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საყრდენია. შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სწორი მიმართულებით დანერგვა საუკეთესო მეთოდების გამოყენებით ხორციელდება. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნის საუკეთესო გზა ბაზრის ლიბერალიზაცია ან/და არსებული შეზღუდვების შემცირებაა. იმის გამო, რომ კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური მიზნები და ტრანსნაციონალური კომპანიების მოზიდვის დეტერმინანტები არათავსებადია და ორივე მათგანი საკუთარი პოზიციების გამყარებას ცდილობს, ლოგიკურია, რომ ყველასთვის ეფექტიანი ვერ იქნება ის საინვესტიციო პოლიტიკა და თამაშის წესები, რომელსაც ქვეყანა ინვესტორს სთავაზობს. შესაბამისად, ზოგიერთი ქვეყანა მიდის გარკვეულ დათმობებზე ეკონომიკის ლიბერალიზაციის კუთხით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (ინვესტირებისთვის წამახალისებელ გარემოს ქმნის), მაგრამ არსებობენ ქვეყნები, რომელთა პოლიტიკაც პროტექციონისტულია და ხელოვნური ბარიერებით ხასიათდება სამამულო წარმოების დაცვის მიზნით.

ინვესტორები, რომლებიც ახორციელებენ კაპიტალდაბანდებას ისეთ დარგებში, რომლებსაც რესურსების კუთხით სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნიათ, ითვალისწინებენ ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, რესურსების ხელმისაწვდომობას, ადგილობრივი ბაზრის სიდიდეს, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, სამუშაო ძალის სიახვეს და ბაზრის კონიუნქტურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ქვეყანა ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება, რაც განაპირობებს მის არამიმზიდველობას, ამიტომ ის ვალდებულია, შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც ეფექტიან ეკონომიკური გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

ლოგიკურია, რომ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ სტაბილური ეკონომიკური გარემოს შექმნას ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ერთნაირ შედეგს

ვერ მიაღწევენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ინფრასტრუქტურის განვითარების დონეა და აქ ცალსახაა მთავრობის მხრიდან მასშტაბური ხარჯების გაღების საჭიროება. ამასთანავე, ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობას არსებული ბარიერები და საგადასახადო პოლიტიკაც წარმოადგენს. ბიზნესში წამოწყების სიმარტივე ერთგვარი სიგნალია თითოეული ინვესტორისთვის.

სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს ჩაერიოს უცხოური ინვესტიციების მართვის პროცესში, რისთვისაც არსებობს ოთხი მიდგომა:

პირველი - პასიური ღია კარის პოლიტიკა, როდესაც ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობაში მთავრობა ჩარევისაგან თავს იკავებს. როდესაც ქვეყანას არ გააჩნია გარკვეული კონკრეტული პოლიტიკა, ინვესტიციების მიმართ.

მეორე - სახელმწიფო ცდილობს ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, სხვადასხვა პირობების შეთავაზებით (ღია კარის პოლიტიკა);

მესამე - ქვეყანაში მოიზიდება კონკრეტული სახის ინვესტიციები და მიმდინარეობს მათი მკაცრი კონტროლი;

მეოთხე - ქვეყნები აწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს იმ ინვესტიციების სახეობაზე, რომლებმაც ცუდი გავლენა შეიძლება იქონიონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

არსებობს დეტერმინანტები, რომლებიც ინვესტიციების ნაკადის ინტენსივობაზე ახდენენ გავლენას. არსებობს სახელმწიფოს ჩარევის სამი შესაძლო ვარიანტი: გავლენა პოტენციურ, რეალურ და ადგილობრივ ინვესტორებზე.

გამოყოფენ დეტერმინანტების სამ ტიპს: სპეციფიკური ინდუსტრიული პოლიტიკა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა და სხვა ზოგადი პოლიტიკა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი როლი უმნიშვნელოვანესია.

არსებობს დეტერმინანტები, რომლებიც გავლენას ახდენენ პოტენციურ ინვესტორებზე. როდესაც სახელმწიფო ცდილობს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, ყურადღება უნდა გამახვილდეს ინდუსტრიული პოლიტიკის როლზე, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს ინვესტიციების ნაკადის მოცულობაზე. ინდუსტრიული პოლიტიკის მეთოდებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეწყობის (promotion) ღონისძიებები. მართალია ეს ღონისძიებები საკმაოდ ძვირი ჯდება, მაგრამ ინვესტორთა მოსაზიდად აუცილებელია მათი გატარება. ამ შემთხვევაში ინვესტიციის მიმღები ქვეყანა თავს არიდებს საკმაოდ დიდ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს

ინფორმაციის ნაკლებობით. აღნიშნული პრობლემის ფონზე ძნელია დაინტერესდეს ინვესტორი ქვეყნის ინვესტიციური პოტენცილის არსებობაში.

ინვესტორს ქვეყანაში უპირველესად არსებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობა აინტერესებს. თავის მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია, შესაბამისი გარემო შესთავაზოს ინვესტორს და მოიზიდოს ფულადი ნაკადები. საგულისხმოა, რომ ქვეყნები ვერ მიდიან ყოველთვის „დათმობებზე“ ბაზრის ლიბერალიზაციის კუთხით და მზად არიან, მიიღონ ნაკლები ფულადი ნაკადები, რის გამოც შესაძლებელია ვეღარ განხორციელდეს სხვადასხვა ეკონომიკურ-სოციალური პროექტი და ხელი შეეშალოს ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოსაზიდად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ბარიერების გამარტივება. ადმინისტრაციული პროცესების სირთულე პრობლემას უქმნის ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ადგილობრივ ბაზარზე შესვლაში. შესაბამისად, მთავრობის მხრიდან სწორი ნაბიჯი იქნება პროცესების გამარტივება. ეს შეამცირებს დანახარჯებს და ხელს შეუწყობს ინვესტორის მხრიდან დროის მინიმიზაციას, იმისთვის, რათა სწრაფად იპოვოს საკუთარი ადგილი ადგილობრივ ბაზარზე.

თუ ქვეყანა მხოლოდ საინვესტიციო პოლიტიკაზე გაამახვილებს ყურადღებას ეს დადებითი რეზულტატის მომტანი ვერ იქნება. გასათვალისწინებელია კიდევ ბევრი ფაქტორი. ზემნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალი, რომლის კომპეტენციის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ინვესტორთა მოთხოვნებს. ინვესტორებს სჭირდებათ საჭიროებების ადეკვატური, კვალიფიციური სამუშაო ძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორს მოუწევს დამატებითი ხარჯების გაღება, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აქედან გამომდინარე, ინვესტორისთვის მიმზიდველია ქვეყანა, სადაც შედარებით ნაკლები დანახარჯებით მიიღებს მაქსიმალურ სარგებელს და მის ხელთ არსებულ რესურსებს მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენებს. ამისათვის აუცილებელია მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

დამატებით, ინვესტიციების მოზიდვისთვის უმნიშვნელოვანესია ფინანსური ბაზრის სიძლიერე - როდესაც ქვეყანას აქვს სუსტი ფინანსური ბაზარი, ინვესტორებს ფინანსური რესურსების მოძიების მიზნით მეტი დანახარჯების გაწევა უწევთ.

ქვეყნის გლობალური ეკონომიკური კურსი ერთ-ერთი წინაპირობაა, რომელსაც ინვესტორი აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და

თანამეგობრობაში გაერთიანება სახელმწიფოს საშუალებას აძლევს მიიღოს სარგებელი თითოეული წევრი ქვეყნისგან; შეამციროს დანხარჯები, როგორც დროის ასევე ფინანსების კუთხით. ეს კი დადებითად მოქმედებს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე და მიმზიდველს ხდის მას.

მთავრობის მიერ სწორად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმათა თანმიმდევრულობა ხელს შეუწყობს წარმოების პროცესის გაუმჯობესებას, სამუშაო ძალის განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. დამატებით, აუცილებელია მონიტორინგი, ვინაიდან, შესაძლოა, კომპანიებმა რესურსები სათავისოდ გამოიყენონ: მოახდინონ საკუთარი მოგების მაქსიმიზაცია, მაგრამ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში არანაირი როლი არ ითამაშონ, დაკისრებული ვალდებულებები არ შეასრულონ. ეს კი მნიშვნელოვნად დააზარალებს სახელმწიფოს.

გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და ადგილობრივ კომპანიებს ურთიერთკავშირის გაღრმავებას. მათი გამოცდილება დაეხმარება განვითარების ქვედა ეშელონზე მყოფ ადგილობრივ ფირმებს პროგრესში. მეორე მხრივ, მთავრობამ უნდა იზრუნოს ადგილობრივი ბაზრის განვითარებაზე და მაქსიმალურად უნდა აიცილოს თავიდან ტრანსნაციონალური კომპანიების უპირატესობით გამოწვეული არათანაბარი კონკურენცია, რაც ადგილობრივ ფირმებს საშუალებას მისცემს გრძელვადიან პერსპექტივაში მიაღწიონ განვითარების მაღალ საფეხურს, გახდნენ კონკურენტუნარიანები და მომხარებელს შესათავაზონ შესაბამისი საქონელი და მომსახურება. თავის მხრივ, აუცილებელია ტრანსნაციონალური ორგანიზაციებისა და ადგილობრივი კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის მაკონტროლებელი ღონისძიებების განხორციელება. ეს დააჩქარებს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, რაც საციცოხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვისებრივი გაუმჯობესებისთვის. დამატებით, ბიზნეს, საჯარო და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის გარანტია.

თავი 2. უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკაზე

2.1 უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ძირითადი მიმართულებები და ფორმები

ადგილობრივ ინვესტიციებთან შედარებით, ხელისუფლება ყურადღებას ძირითადად უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ამახვილებს, ვინაიდან როგორც წესი, უცხოური ინვესტიციების შემოსვლას ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაჩინო ზრდა მოჰყვება. უცხოური ინვესტიციები ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ: **პორტფელურ** და **პირდაპირ** ინვესტიციებად.

პორტფელურია ინვესტიცია, როდესაც ხდება კაპიტალის ინვესტირება უცხო ქვეყნის ფირმის აქციებში, ფასიან ქაღალდებში, ობლიგაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც სავალუტო საკრედიტო მიმართულებით მუშაობენ. ოფიციალური ინვესტირება, იგივე სახელმწიფო ინვესტიცია, განეკუთვნება პორტფელურ ინვესტიციას და მოიცავს ორივე პერიოდს. პორტფელური ინვესტიციების განხორციელებას ხელს უწყობენ საფინანსო შუმაველები: ბანკები, კერძო და სახელმწიფო კომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო ფონდები და სხვ. აღნიშნული კატეგორიის ინვესტიცია მეორენაირად შეგვიძლია მოვიხსენიოთ როგორც, „ცხელი ფული“. მისი მოკლევადიანი თისებებიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაიგივოთ ნაკადებთან, რომელიც არასტაბილურობით ხასიათდება (რეზიდენტ ქვეყანაში როგორც კი გამოჩნდება არასტაბილურობის პირველი ნიშნები, მაშინვე ტოვებს ეკონომიკურ ბაზარს).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აერთიანებს დაბანდებებს, როდესაც ინვესტორს აქვს უცხო ქვეყნის საწარმოზე კონტროლის შესაძლებლობა. პუი-ს დიდი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ჩამოყალიბებაში. მათი სწორედ წარმართვის შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარება, იმის გათვალისწინებით, თუ სახელმწიფო ინსტიტუტები და საბანკო სექტორი არ იმყოფებიან იმ დონეზე, რომ შეძლონ ეკონომიკის დაბალი საპროცენტო განაკვეთებით (იაფი სესხი) მომარაგების შესაძლებლობა.

ინვესტიციების გავლენა მაკროეკონომიკაზე ორმაგია: უპირველეს ყოვლისა, ინვესტიციებზე გაწეული ხარჯების ცვლილება ერთობლივი მოთხოვნის მრუდზე

აისახება. აღნიშნული კი გავლენას ახდენს წარმოებისა და დასაქმების მაჩვენებელზე; მეორე - ინვესტიციებში იგულისხმება კაპიტალის დაგროვება. გრძელვადიანი აქტივების მომრავლება ქვეყანაში ხელს უწყობს წარმოების შესაძლებლობის ზრდას. ამრიგად, ინვესტირების შედეგად:

ა) წარმოების მოცულობა იზრდება, მოკლევადიან პერიოდში მოთხოვნის მრუდზე ზემოქმედების მეშვეობით.

ბ) ინვესტირებით სტიმულირდება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა და გავლენას ახდენს კაპიტალწარმოქმნაზე და მიწოდების მრუდზე.

თითოეული ქვეყანა ცდილობს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას, რათა მოიზიდონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ხელი შეუწყონ ეკონომიკის მდგრადობას. ხელშემწყობი საინვესტიციო გარემოს შექმნაში დიდ როლს თამაშობს ბიზნესის განვითარებაზე მორგებული კანონმდებლობა.

ქვეყნების უმრავლესობაში შემუშავებულია ღონისძიებებათა მთელი ნუსხა, თუ რა პირობების დაცვითაა შესაძლებელი, რომ უცხოელმა ინვესტორმა სახელმწიფოში დააბანდოს კაპიტალი. აღნიშნული ნუსხა მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

1. ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კომპანიების წილის ზრდის შემთხვევაში წარმოებული პროდუქციის გარკვეული ნაწილის ადგილობრივი ეკონომიკური ბაზრისთვის მოხმარების ვალდებულება;
2. ბაზარზე დამკვიდრების შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულება;
3. უცხოური კომპანიების ხვედრითი წილის ქვედა და ზედა ზღვრების არსებობა;
4. ტექნოლოგიების გადაცემაზე მოთხოვნა;
5. რეზიდენტ ქვეყანაში კვლევების ჩატარებაში მონაწილეობის მიღების ვალდებულება;

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებით ბევრი ქვეყანა ინარჩუნებს შეზღუდვებს. არსებობს ღონისძიებები, რომლებიც ინვესტორებს ადგილობრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უფლებას ართმევს. ამასთანავე, შეზღუდვებში შეიძლება იგულისხმებოდეს ადგილობრივ კომპანიებში უცხოელი ინვესტორების უფლებათა წილის ზრდა. როგორც წესი, ეს თავდაცვის მექანიზმად აღმიქმება და მისი მიზანი ისაა, რომ უცხოელს ინვესტორებს არ გააჩნდეთ ქვეყნის კაპიტალურ რესურსებზე სერიოზული გავლენა (აქ ე.წ. „სტრატეგიული ობიექტების“

დაუფლების შეზღუდვაც უნდა მოვიზაროთ). ამის აუცილებლობა კარგადაა გაცნობიერებული განვითარებულ ქვეყნებშიც, რის გამოც კანონების სიუხვესთან ერთად, რომლებიც პარალელურად საინვესტიციო პოლიტიკის ლიბერალიზაციასაც უნდა ემსახურებოდეს, არსებობს ნორმები, რომლებსაც ინვესტორები უნდა დაემორჩილონ. ასეთი ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნებიან უნგრეთი, უკრაინა, მექსიკა, ირანი და სხვები.

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა შეაფერხა ინვესტირების პროცესი ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ამიტომ განვითარებადი ქვეყნებისთვის ინვესტირების წახალისების ხელშეწყობა უმთავრესი ამოცანაა.

„ბოლო პერიოდში განვითარებადმა ქვეყნებმა განახორციელეს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან იგი განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარების, მოდერნიზაციის, შემოსავლის ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობი ფაქტორი“ [OECD, 2012].

საინვესტიციო გარემოს შექმნა, რომელიც მისაღები იქნება ინვესტორებისთვის, ეფექტიანი საგადასახადო სისტემის არსებობას, შესაბამის მარეგულირებელ მექანიზმებს, კონკურენტულ საბაზრო ეკონომიკას, ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, მწყობრი ინსტიტუტების არსებობასა და განვითარებულ ინფრასტრუქტურას საჭიროებს.

ზემოხსენებული ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს მოცემული ქვეყნის საინვესტიციო გარემოს. მწყობრი და სტაბილური ეკონომიკური გარემო ფირმებს აძლევს შესაძლებლობას, უპასუხონ ახალ გამოწვევებს (როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო ბაზარზე), გააფართოვონ წარმოების მასშტაბები და განახორციელონ რეინვესტირება. საინვესტიციო კლიმატი დამოკიდებულია ფაქტორთა ერთობლიობაზე და მათ შორის გამოყოფენ პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ფაქტორებს. პოლიტიკური ფაქტორი მნიშვნელოვან რისკებს აერთიანებს (მაგალითად, არასტაბილური და დამაბული პოლიტიკური გარემო ხელშემშლელია ბიზნესისთვის), სამართლებრივი ფაქტორით ძირითადად ასახულია საკუთრების უფლების დაცვის, სამართლიანობისა და ადეკვატურობის პრინციპები, ხოლო ეკონომიკური ფაქტორი ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს აერთიანებს [5. ფუტკარაძე, 2013: 165-166].

90-იანი წლების ბოლოსკენ მსოფლიო ეკონომიკაში შეინიშნებოდა ქვეყნების გააქტიურება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ახალი ტექნოლოგიების დაუფლების, ინოვაციური მეთოდების დანერგვისა და მწყობრი საინვესტიციო პოლიტიკის გატარების კუთხით. ამ ფონზე შეიძლება შემდეგი მიმართულებების გამოყოფა:

1. ინვესტიციის მიმღები ქვეყნის დადებითი მახასიათებლებისა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების წინა პლანზე წამოწევა სარეკლამო კამპანიების მეშვეობით, ყურადღების გამახვილება პოტენციურ შესაძლებლობებზე და სხვ.

2. ინვესტორებისთვის ისეთი მომსახურების პაკეტის გადაცემა, რომელიც ხელს უწყობს მათ საინვესტიციო საქმიანობას.

3. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი კაპიტალდამბანდებლისთვის შეღავათების დაწესება. აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ფინანსურ შეღავათებს ძირითადად განვითარებული ქვეყნები აწესებენ და ამით ასტიმულირებენ გარკვეულ მიმართულებებს, ხელს უწყობენ რეგიონალურ განვითარებას, რაშიც სუბსიდიების როლი საკმაოდ დიდია.

სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა იმისა, რომ სესხზე და წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე დაყრდნობით დააფინანსოს ინვესტიციური დაბანდებები, შექმნას ფულადი დანახარჯების დამატებითი ფონდები. ამიტომ პუი-ს ამ ფორმას ხშირად განვითარებული ქვეყნები იყენებენ.

ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონცეფციაზე დაყრდნობით, დარგობრივ ჭრილში შემუშავებულია ინვესტიციების მასტიმულირებელ საშუალებათა კლასიფიკაცია. რომელიც აერთიანებს სამ ჯგუფს:

ფისაკალურ შეღავათებს მიეკუთვნება თანხის გაზრდა ამორტიზაციის ანარიცხების, შეღავათები სოციალურ ფონდებში შენატანებზე, საბაჟო გადასახადების გაუქმება ან დაწევა, ექსპორტიდან მიღებული სარგებლის პრევენციული დაბეგვრა, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების შემცირება, მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება, საგადასახადო არდადაგები და სხვ.

ფინანსურ შეღავათებში ერთიანდება პირდაპირი სუბსიდიები კაპიტალის ხარჯის დასაფარად, გარანტიები სესხის გაცემაზე, გარანტიები სესხის გაცემაზე წარმოებისთვის, რომელიც ექსპორტზეა ორიენტირებული, რისკშემცველი ინვესტიციების დაგეგმარების განხორციელების პროცესში გარკვეული დოზით

სახელმწიფო სახსრების ჩართულობა (კაპიტალი) და შეღავათიანი სესხის დაზღვევის უზრუნველყოფა.(ცვლილებები სავალუტო კურსში, დევალვაცია და სხვ.)

სხვა შეღავათებში ერთიანდება ხარჯების სუბსიდირება, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციას, საინვესტიციო პროექტების შექმნას, პრეფერენციული სახელმწიფო შეღავათების გაფორმებას, კონკურენტუნარიანი გარემოს უზრუნველყოფას და ა. შ.

განვითარებული სახელმწიფოები ძირითადად იყენებენ სტიმულირების სხვადასხვა ფორმას ინვესტიციებთან მიმართებით, იყენებენ ფინანსური შეღავათებს, რომლებიც მოიცავს განაკვეთის შემცირებას გადასახადზე და დაჩქარებულ ამორტიზაციას. თავის მხრივ, განვითარებადი ქვეყნები სტიმულირების სხვა მეთოდებს მიმართავენ - ეს შეიძლება იყოს საგადასახადო სისტემის გამარტივება, როგორცაა ე.წ. „საგადასახადო არდადაგები“, რომლის სამოქმედო პერიოდი ძირითადად განისაზღვრება 1-5 წლიანი პერიოდით (რიგ შემთხვევებში 10-25 წლით). განვითარებული ქვეყნები ასევე მთლიანად აუქმებენ საბაჟო გადასახადებს, ან კიდევ აწესებენ მინიმალურ ზღვრას.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები იყენებენ საინვესტიციო სტიმულირების შემდეგ მეთოდებს: საგადასახადო სისტემის შემსუბუქება, საგადასახადო არდადაგები, კორპორაციულ შემოსავლებზე საგადასახადო განაკვეთის დაბლა დაწევა, აგრეთვე ბაჟის შეღავათიანი განაკვეთები მოქმედებს გამოყენებულ აქტივებზე (ნედლეული, მოწყობილობა).

საგადასახადო შეღავათებიდან ყველაზე მეტად პოპულარულია: დაჩქარებული ამორტიზაცია, საინვესტიციო ფასდაკლება, საგადასახადო არდადაგები, საბაჟო საგადასახადო განაკვეთის შემცირება, საგადასახადო კრედიტი და სუბსიდიური ინვესტიციები .

საგადასახადო არდადაგები ეს არის საშეღავათო გადასახადი, რომლის მეშვეობითაც ინვესტორი რომელიც ეწევა საქონლისა და მომსახურების წარმოებას რეზიდენტ ქვეყანაში, გარკვეული პირობების შესრულების შედეგად თავისუფლდება გადასახადისგან გარკვეული დროით. ვადები საგადასახადო არდადაგების არაერთგავროვანია, ხშირად 2 დან 10 წლამდე ვადით მერყეობს.

„სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საგადასახადო არდადეგების რეჟიმით შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ იმ სამრეწველო კომპანიებს, რომელთაც გააჩნიათ

სახელმწიფო ლიცენზია და აკმაყოფილებენ შესაბამისად შემუშავებულ კრიტერიუმებს“ [ლ. ქოქიაური, 2006:20].

ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთდროულად იყენებენ საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო არდადაგების დაწვევის სიტემას ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლებები. კორეის რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო არდადაგების ხანგრძლივობა შეადგენს 8-10 წელიწადს. აღნიშნული შეღავათი განისაზღვრება შემდეგნაირად: პირველი ხუთი წლის განმავლობაში ფირმას მთლიანად ათავისუფლებენ მოგების გადასახადისგან, ხოლო შემდგომი სამი წლის განმავლობაში იხდის 50%-ს. ეს შეღავათი არამარტო კორპორაციულ გადასახადაზე ვრცელდება, არამედ გადასახადის სხვა სახეებზეც. (მაგალითად, გადასახადი დივიდენდებიდან, ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი და ა. შ.).

საგადასახადო კრედიტსა და ინვესტიციურ ფასდაკლებას საგადასახადო არდადაგებთან შედარებით გარკვეული უპირატესობა გააჩნიათ, ვინაიდან უფრო ქმედით ინსტრუმენტებს განეკუთვნებიან კაპიტალის მოზიდვის კუთხით, უფრო ტრანსპარენტულ ხასიათს ატარებენ და მარტივია მათი გაკონტროლება.

ყველაზე ეფექტიანი და მარტივია საგადასახადო კრედიტის ფორმა, როდესაც საგადასახადო კრედიტის თანხა თავიდანვე განსაზღვრულია. ამ შემთხვევაში თანხა ირიცხება სპეციალურ საგადასახადო ანგარიშზე. ხოლო თუ კომპანია მსგავსი შეღავათით სარგებლობს, მაშინ ის ჩვეულებრივ გადამხდელად ითვლება, ანუ ექვემდებარება არსებულ პირობებსა და წესებს.

საინვესტიციო ფასდაკლებების სისტემას და დაბალი საგადასახადო განაკვეთების ფორმით გამოყენებას გააჩნია ადეკვატური ეფექტი, რადგანაც ისინი არიან საგადასახადო კრედიტის პრაქტიკის ანალოგიური. თუმცა არსებობს განსხვავებაც - როდესაც კორპორაციულ გადასახადს აქვს რამდენიმე განაკვეთი, მაშინ აბსოლიტურ გამოსახულებაში განისაზღვრება ინვესტიციური ფასდაკლებების რაოდენობა, ხოლო სხვა შემთხვევაში საგადასახადო განაკვეთზე არ იქნება დამოკიდებული არსებული საგადასახადო კრედიტის თანხა.

სინგაპური არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ინვესტირების ხემწეობის მიზნით საგადასახადო ფასდაკლებას იყენებს. აქ ფირმები სარგებლობენ შეღავათებით, რათა მოახდინონ წარმოების გაფართოება და უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს. აქ ფირმებს 10-წლიანი ვადით კორპორაციული გადასახადი 13%-მდე უმცირდებათ და

შესაძლებელია ამ პერიოდის გახანგრძლივებაც. „ინვესტორი თავისუფლდება შემოსავლის დაბეგვრისგან პროპორციული თანხით არა უმეტეს 50%-სა საწარმოო მოწყობილობებში და ახალ კაპიტალდაბანდებათა სიდიდისა“ [რ. კლუმპი, 2015: 168].

სტიმულირების კიდევ ერთ-ერთი ფორმაა დაჩქარებული ამორტიზაცია. ამორტიზაციის დროს მოგების გარკვეული რაოდენობა საწარმოო დანახარჯებში ხვდება და გადასახადისგან თავისუფლდება. მაგალითად, გერმანიაში საწარმოო ნაგებობების ამორტიზაციის ყოველწლიური ნორმები უდრის 10%-ს პირველი ოთხი წლის განმავლობაში, 5%-ს შემდეგი სამი წლის განმავლობაში და 2,5%-ს შემდეგი 18 წლის განმავლობაში.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით დაჩქარებულ ამორტიზაციას სხვა მასტიმულირებელ ფორმებთან შედარებით აქვს შემდეგი ორი უპირატესობა:

1. შემოსავლებთან შედარებით უფრო იაფია;

2. ინვესტორები აბანდებენ კაპიტალს იმ მოტივით, რომ მომავალში ამ ყველაფერს ჰქონდეს დადებითი ეფექტი, ამიტომ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების დროებით დაწეესებამ შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში მასტიმულირებელი გავლენა იქონიოს კაპიტალდაბანდებებზე.

არადაპირპირი გადასახადების სტიმულირებისას ხშირად იყენებენ ნედლეულის დღგ-ის დაბეგვრისა და კაპიტალტევადი საქონლის გამორიცხვის ფორმას, ასევე შემოაქვთ უბაჟო სისტემა. ეს შეღავათები ექსპორტის სტიმულირებისთვის გამოიყენება და აგრეთვე, სამართლებრივი კუთხითაც მისაღებია.

ინვესტირების სტიმულირებისათვის აგრეთვე იყენებენ საბაჟო განაკვეთების შემცირებას ან საერთოდ ლიკვიდაციას. ამის მაგალითს წარმოადგენს ავსტრია, სადაც ინვესტორის მიერ ისეთი საქონლის შემოტანის შემთხვევაში, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე არ იწარმოება, მოხსნილია საბაჟო გადასახადი. აგრეთვე ხდება გადასახადების დაბრუნება (მაგალითად, იმპორტული საქონლის გაყიდვიდან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იმპორტი მიზანიმართულია რეექსპორტისთვის და გადამუშავებისთვის).

ინვესტიციების მოზიდვის კუთხით მნიშვნელოვანია ფინანსური და სხვა შეღავათები. კანონმდებლობიდან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისთვის, მთავრობები აქტიურად თანამშრომლობენ უცხოურ ინვესტორებთან, ინვესტიციების განხორციელების საწყის ეტაპზე. იმისთვის, რომ

ინვესტორმა ისარგებლოს შეღავათით მან უნდა შეასრულოს გარკვეული პირობები (მაგალითად ეს შეიძლება იყოს კაპიტალდაბანდებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის მაჩვენებლები). „ქვეყნების უმრავლესობაში პრიორიტეტით სარგებლობენ ფირმები, რომლებიც მოღვაწეობენ მომსახურების სფეროში და ხელს უწყობენ ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. აღნიშნული ხელშემწყობი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის“ [ვ. ყოლბაია 2006:20].

შეღავათები, რომლებიც საგადასახადო კატეგორიას მიეკუთვნებიან, ინდივიდუალურ ხასიათს ატარებენ. მათ გამოიყენებენ დარგის სპეციალიზაციიდან გამომდინარე. დარგობრივ ჭრილში იგულისხმება, როგორც ტექნოლოგიური ასევე სამეცნიერო დარგები.

ინვესტირება დამოკიდებულია მთელი რიგი ფაქტორების ერთობლიობაზე, შესაძლებელია ითქვას, რომ საგადასახადო შეღავათები, რომელსაც მიმღები ქვეყნები უწესებენ ინვესტორებს არ არის საკმარისი, ვინაიდან საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა შემდეგ ფაქტორებს: პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციას, ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების არსებობას, ქვეყნის განვითარების პოტენციალს, მის გეოგრაფიულ მდებარეობას, მხარდაჭერის ინსტიტუტებს, საბანკო სფეროს, სატრანსპორტო მიმართულებას, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობას, ფიზიკური კაპიტალის და მისი ღირებულების მაჩვენებელს. თუ აღნიშნული მიმართულებები მოწესრიგებულია და საგადასახადო სისტემა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს, სწორედ საგადასახადო სტიმულებმა შეიძლება ითამაშოს დიდი როლი კაპიტალის დაბანდების პროცესში.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ინვესტიციებიდან მისაღები სარგებლიანობის გამო ქვეყანაში მოღვაწე მეწარმეები, რომლებიც მონათესავე დარგებში ოპერირებენ, ერთიანდებიან რეგიონულ ჯგუფებში. ტერიტორიული სიახლოვე კომპლემენტარული ფაქტორების უკეთ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად ის, თუ რამდენად აქვთ რესურსებზე წვდომა სპეციალიზებულ კადრებს. „ინვესტიციები, რომლებიც ემსახურება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, გზების მშენებლობას, საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებას, შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სტიმულირების ამალგების გზით ხელი უწყობდეს მსგავსი ჯგუფების ჩამოყალიბებას და ამით ახდენდეს კერძო ინვესტიციების სტიმულირებას [რ. კლუმპი, 2015:156-162].

საკმაოდ ბევრი ქვეყანა არსებობს, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა მეთოდებით დაინტერესონ ინვესტორები. საქართველოს მეზობელი და პოსტკომუნისტური ქვეყნები შემდეგი გზებით ცდილობენ ინვესტორების მოზიდვას:

ლიეტუვა - ლიეტუვაში არის თავისუფალი ეკონომიკური ზონები. აქ დარეგისტრირებულ კომპანიებს, რომელთა საწესდებო კაპიტალის 30%-ს მაინც შეადგენს უცხოური კაპიტალი და ეს თანხა აღემატება ერთ მილიონ ამერიკულ დოლარს, ხუთი წლის განმავლობაში ათავისუფლებენ მოგების გადასახადისგან, ხოლო შემდგომი 10 წლის განმავლობაში იხდის გადასახადის 50%-ს.

ბულგარეთი - თუ კომპანია დააბანდებს ინვესტიციას ისეთ რეგიონში, სადაც უმუშევრობის დონე მაღალია, თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. ამასთანავე, ხუთ მილიონ ევროზე მეტი ოდენობის მქონე საინვესტიციო პროექტები აღჭურვილობის იმპორტირების შემთხვევაში თავისუფლდებიან დღგ-ის გადასახადისგან. აგრეთვე, აქ მოქმედებს თავისუფალი ეკონომიკური ზონები.

სლოვენია - თუ ინვესტორი ახორციელებს ინვესტიციას ძირითად და არამატერიალურ საშუალებებში, შეუძლია შეამციროს საკუთარი საგადასახადო ბაზა 20%-ით განხორციელებული ინვესტიციის შესაბამისად.

პოლონეთი - აქ 14 ეკონომიკური ზონა სპეციალურადაა გამოყოფილი, სადაც შემდეგი შეღავათები მოქმედებს: ინვესტორს შეუძლია შეამციროს საკუთარი საგადასახადო ბაზა 50%-მდე განხორციელებული ინვესტიციის შესაბამისად, ხოლო 65 %-მდე იზრდება შეღავათები საშუალო და მცირე საწარმოებისთვის.

თურქეთი - მოქმედებს ინვესტიციების სტიმულირების შემდეგი პროგრამები: 1) ფირმებს ათავისუფლებენ საბაჟო გადასახადისგან; 2) თუ ინვესტორი ახორციელებს ძირითადი საშუალებების იმპორტს, გათავისუფლებულია დღგ-ის გადახდისგან და ეს პროგრამა ვრცელდება ადგილობრივ შესყიდვებზეც; 3) კრედიტი გამოიყოფა ბიუჯეტიდან და ამოქმედებულია თავისუფალი ეკონომიკური ზონები რიზეს, ტრაპზონისა და სამსუნის პორტებში.

სომხეთი - თუ ინვესტორი ახორციელებს ინვესტიციას, რომელიც აღემატება 855.000 აშშ დოლარს, კომპანიები სარგებლობენ შემდეგი შეღავათით: ორი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან მოგების გადასახადისგან; ხოლო მომდევნო 2-7 წლის განმავლობაში კომპანია მოგების გადასახადის 50 %-იანი შეღავათით სარგებლობს.

ყაზახეთი - „უცხოელი ინვესტორებისთვის მოქმედებს შემდეგი სახის საგადასახადო შეღავათები: 1. ქონების გადასახადიდან გათავისუფლება; 2. მიწის გადასახადიდან გათავისუფლება. 3. ინვესტორს უფლება აქვს, შეამციროს საინვესტიციო პროექტის ფარგლებში შეძენილი მატერიალური აქტივების ღირებულება; 4. ძირითადი საშვალეების იმპორტირებისას საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლება“ [ე. საბაძე, 2016: 12-13].

აზერბაიჯანი - შექმნილია აზერბაიჯანის საინვესტიციო კომპანია (Azerbaijan Investment Company), რომლის ძირითადი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინვესტორების მოზიდვას და მათთვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნას.

ინვესტიციების მოზიდვის კუთხით თვალსაჩინო მაგალითია ესპანეთი. ბასკებს ეკონომიკური ავტონომია გაჩნიათ და ესპანეთისგან განსხვავებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ. კორპორაციული გადასახადი ესპანეთში შეადგენს 35%-ს წლის განმავლობაში, ბასკეთში ეს მაჩვენებელი დაბალია და უდროს 32,5%-ს. საგადასახადო არდადაგების ვადა უცხოელი კაპიტალდამბანდებისთვის განისაზღვრება 4 წლის ვადით. „კომპანებისთვის რომლებიც ბასკეთში ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას საწყის წელს გადასახადი განისაზღვრება 25%-ით. მეორე წელს 50%-ს, მესამე წელს-75%-ს და მეოთხე წელს ხდება მათი გათანაბრება სხვა კომპანიებთან გადასახადების გადახდის კუთხით და იხდებიან 99%-ს. სწორედ ამის შედეგია, რომ ბასკეთში უცხოური ინვესტიციების ზრდა შეინიშნება“ [რ. კლუმბი, 2015: 157].

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოში გამართულად მუშაობდეს ინვესტიციათა რეგულირებაზე და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოები (ეროვნული ბანკი, ფინანსური ზედამხედველობის სამსახური, ფასიანი ქაღალდების კომისია და სხვ.) მაგალითად, ჩეხეთსა და სლოვენიაში ინვესტიციების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი (Act on collective investment of the Czech Republic), კვიპროსსა და რუმინეთში კი ფასიანი ქაღალდების კომისია (Regarding Financial Investment Services of Romania and Cyprus).

სპეციალური სამსახურები გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით (მოქმედი კანონმდებლობა, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, ადამიანისეული კაპიტალის მომზადების დონე, ფინანსური ლიბერალიზაციის მაჩვენებელი, საგადასახადო სისტემის სიმარტივე, ქვეყნის

პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მაჩვენებელი) ადგენენ ქვეყანათა რეიტინგს, რომელსაც ითვალისწინებენ ინვესტორები, სანამ კაპიტალდაბანდებას განახორციელებენ.

2.2. უცხოური ინვესტიციების მიზიდულობა და მათი დინამიკა საქართველოში

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული, თუმცა, აღსანიშნავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციები პირდაპირ დაკავშირებულია დანაზოგების დონესთან. როდესაც ტრანსნაციონალური კომპანიები ქვეყანაში ინვესტირებას ახორციელებენ, ქვეყნის მიზანია მიიღოს მაქსიმალური სარგებელი, კომპანიების წარმოებული საქონლიდან და მომსახურებიდან. რა თქმა უნდა, სარგებლიანობის მაღალი მაჩვენებლის დამოკიდებულია როგორც ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ასევე ინვესტორი კომპანიების სტრატეგიაზე. „პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვთ შესაძლებლობა იმისა, რომ გაზარდონ კონკურენტული გარემო ქვეყანაში, მაგრამ მისი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე არა მხოლოდ ტრანსნაციონალურ კომპანიებზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ მახასიათებელზეა დამოკიდებული“ [დ. სიხარულიძე, 2012: 61-76]. ხშირია შემთხვევა, როდესაც ტრანსნაციონალურ კომპანიისა და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა არ არის თანხვედნილი. მაშ, ჩნდება კითხვა - რაში სჭირდება ქვეყანას ბაზარზე მსგავსი კომპანიის არსებობა? არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია საინვესტიო პოლიტიკის სწორად დაგეგმვა.

გლობალიზაციის გამოწვევებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ზემნიშვნელოვანია. საქართველო მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით რეგიონში არსებულ ქვეყნებთან შედარებით, დიდი უპირატესობით სარგებლობს. ქვეყანას გააჩნია გასასვლელი საერთაშორისო ბაზარზე როგორც საზღვაო, ასევე საჰაერო, სახმელეთო, სარკინიგზო გზით; ქვეყანა ფლობს ბევრ მიმზიდველ რესურსს, რომელიც აუთვისებელია და სათანადო სახსრების უქონლობის გამო მათი

ექსპლოატაცია ვერ ხერხდება. ამიტომ ინვესტორებს აქვთ შესაძლებლობა აღნიშნული გარემოება გაითავისონ და მიიღონ სარგებელი.

დანაზოგების მაჩვენებელი საქართველოში საკმაოდ დაბალია. მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენის უმეტესი ნაწილი ვერ ახერხებს ფულის დაზოგვას. დაზოგვა კი, თავის მხრივ, ინვესტიციებთან პირდაპირ კავშირში იმყოფება. ეს გარემოება ხაზს უსვამს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობას.

დღეს მსოფლიო მასშტაბით ბევრი ქვეყანა ცდილობს ხელსაყრელი გარემო პირობები შეუქმნან ინვესტორებს, წახალისონ ისინი სხვადასხვა მასტიმულირებელი ფორმების გამოყენებით, იქნება ეს საგდასახადო შეღავათები, თუ სტაბილური მაკორეკონომიკური გარემო.

აუცილებელი არაა ინვესტორი საწარმოს საკონტროლო პაკეტს ფლობდეს. დღეის მდგომარეობით, ინვესტიციად ითვლება კაპიტალდაბანდება, რომლის წილი საწარმოს აქტივებში 10%-ზე მეტია. მათ შორის სესხიც, თუ საწარმოს განკარგულებაში მყოფი აქტივები იტვირთება ვალდებულებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხშირად ხელს უწყობს ახალი ბიზნესის წამოწყებას, საწარმოთა მასშტაბის გაფართოებას, სამუშაო ადგილების შექმნას, მწარმოებულობის ზრდას, რაც ზრდის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს.

მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა ეკონომიკური გარემო, მაგრამ ინვესტიციებზე გავლენას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიც ახდენს. მაგალითად, მსოფლიო მასშტაბით ინვესტიციების ზრდის საერთო მაჩვენებელი 2007 წლამდე მაღალი იყო და 3 ტრილიონს აღემატებოდა. 2009 წლის მსოფლიო კრიზისის შედეგად ინვესტიციები მსოფლიოში 56%-ით შემცირდა. საინტერესოა როგორ შეცვლის გლობალურ ეკონომიკურ წესრიგს „Covid-19“, რომლის უაღრესად ნეგატიურ შედეგებს მსოფლიო უკვე გრძნობს.

2007 წელს საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის კუთხით რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა და შეადგინა 1,7 მილიარდი ამერიკული დოლარი. 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში კი 2009 წელს 658 მლნ დოლარი. 2010 წლიდან ინვესტიციების მატების ტენდენცია შეინიშნება. 2010-2016 წლებში მაქსიმალური მაჩვენებელი 2014 წელს დაფიქსირდა 1.8 მილიარდი დოლარი. (პუი)-ს რეკორდული მაჩვენებელი უკანასკნელ პერიოდში 2017 წელს დაფიქსირდა, რომელმაც 1894.5 მლნ დოლარი

შეადგინა. 2017 წლის შემდეგ კი პუი ვარდნას განიცდის, ფიქსირდება კლების ტენდენცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2019 წელს შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამური რაოდენობა 1267.0 მილიონს გაუტოლდა და 2018 წელთან შედარებით 0.2 პროცენტით გაიზარდა [geostat.ge]. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელთან შედარებით 2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 34.9%-ით იყო შემცირებული. 2019 წელს კი რეინვესტიციის მაჩვენებელი ქვეყანაში 48.3 პროცენტს გაუტოლდა.

დიაგრამა 2.2-1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა კვარტალურად, საქართველო, 2013-2020 წ. (მლნ. აშშ დოლარი) ³



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2019 წელს საქართველოს ყველაზე მსხვილი ინვესტორი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის გაერთიანებული სამეფო იყო [geostat.ge].

2019 წელს ბრიტანეთიდან 247.8 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი ინვესტიციები შემოვიდა, რაც მთლიანი რაოდენობის 19.5%-ს შეადგენს. 2018 წელს კი ბრიტანული ინვესტიციები 178.8 მილიონი დოლარის ტოლი იყო.

³ დიაგრამა 2.2-1 აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, www.geostat.ge

მეორე პოზიციაზეა თურქეთი 236.5 მილიონი აშშ დოლარით, რაც მთლიანი მოცულობის 18.7%-ს უტოლდება. 2018 წელს თურქეთიდან 49.6 მილიონი დოლარის ინვესტიციები შემოვიდა.

საქართველოს მესამე ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყანა 2019 წელს ირლანდია იყო, საიდანაც შემოსული ინვესტიციების მოცულობამ 132.7 მილიონს მიაღწია. 2018 წელს ირლანდიური ინვესტიციები 3.2 მილიონ დოლარს არ სცდებოდა.

ცხრილი 2.2-1

ძირითადი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2019 წელს ⁴.

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2019 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017	2018	2019*
სულ	1 837.0	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7
მათ შორის:						
გაერთიანებული სამეფო	108.9	398.8	85.2	247.5	178.8	247.8
თურქეთი	72.3	74.9	220.7	256.1	49.6	236.5
ირლანდია	1.1	0.8	-0.4	0.2	3.2	132.7
აშშ	184.4	18.9	59.3	79.3	102.6	99.0
პანამა	70.7	9.5	75.9	23.8	74.6	78.1
ნიდერლანდი	420.5	164.9	77.3	354.5	208.4	52.9
რუსეთი	87.9	52.4	28.4	51.3	69.7	50.5
ჩინეთი	220.1	66.9	25.5	19.4	75.7	40.4
იაპონია	-15.0	-34.6	5.8	18.4	4.8	39.2
დანარჩენი ქვეყნები	686.2	976.6	1 072.6	912.1	497.8	290.5

*წინასწარი მონაცემები.

„ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყნების ჩამონათვალი ასე გამოიყურება, 2019 წ.“ ⁵

1. გაერთიანებული სამეფო - \$247.8 მლნ - 19.5%
2. თურქეთი - \$236.5 მლნ - 18.7%
3. ირლანდია - \$132.7 მლნ - 10.5%
4. აშშ - \$99 მლნ - 7.8%
5. პანამა - \$78.1 მლნ - 6.2%
6. ნიდერლანდი - \$52.9 მლნ - 4.2%
7. რუსეთი - \$50.5 მლნ - 4%
8. ჩინეთი - \$40.4 მლნ - 3.2%

⁴ ცხრილი 2.2-1 მომზადებულია „ბიზნესპრესნიუსის“ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. <https://www.bpn.ge/article/66237-romelia-sakartvelos-umsxvilesi-investori-kveqnebi-reitingi/>

⁵ “ქვეყნები, საიდანაც 2019 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა“, ჟურნალი „ტაბულა“, 2020წ, <http://tbl.ge/4in7>

9. იაპონია - \$39.2 მლნ - 3.1%

2019 წელს ყველაზე დიდი ოდენობით ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა 261.8 მლნ აშშ დოლარი, რაც მთლიანი ინვესტიციების 20.6%-ია. საფინანსო სექტორს მოსდევს ენერჯეტიკის სექტორი 193.9 მლნ აშშ დოლარით; ხოლო მესამე პოზიცია დაიკავა კვების ინდუსტრიამ 157.5 მილიონით.


საქსტატის მონაცემებით 2019 წლის მე-4 კვარტალში ინვესტიციების მოცულობამ 347 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემს ორჯერ აღემატება. 2019 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით ლიდერობს გაერთიანებული სამეფო 36.1 %-ით, მას მოსდევს თურქეთი 22.2%-ით და ნიდერლანდები 13.9%-ით.

დიაგრამა 2.2-2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორული დინამიკა, საქართველო, 2020 წლის

1-ლი კვარტალი ⁶

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020 წლის I კვარტალში, წინასწარი მონაცემებით



სამი მსხვილი სექტორის წილი 2019 წლის მეოთხე კვარტლის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მიიზიდა საფინანსო სექტორმა - 138.1 მლნ აშშ დოლარი, რაც მთლიანი მაჩვენებლის 39.8 %-ია; მეორე ადგილი დაიკავა მშენებლობის სექტორმა - 49.6 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამე პოზიციაზე გავიდა უძრავი ქონების სექტორი, რომლის საინვესტიციო მაჩვენებლმა 41.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2019 წლის მე-4 კვარტალში აღნიშნულ სამ სექტორზე მოდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 66.1 პროცენტი.


⁶ დიაგრამა 2.2-2 აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

„სტატისტიკის სამსახურს თუ დავეყრდნობით, წინასწარი მონაცემებით 2020 წლის მაჩვენებელი პირველი კვარტლის საკმაოდ დაბალია და შეადგენს 165.4 მილიონს .გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით ეს 41.7%-ით ნაკლებია. ამ კლების მიზეზი შეიძლება დღეს მსოფლიოში არსებულ ეპიდსიტუაციას დავაბრალოთ, მაგრამ ფაქტია, რომ 2017 წლის შემდეგ (პუი) მკვეთრ კლებას განიცდის, რაც დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს ეკონომიკას.“⁷

ერთ-ერთ მიზეზად სახელდება მაგისტრალური გაზსადენის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში.

დიაგრამა 2.2-3

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები 2020 წლის I კვარტალში⁸, წინასწარი მონაცემებით, საქართველო, მლნ. აშშ დოლარი



„2020 წლის პირველ კვარტალში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა გაერთიანებული სამეფო იყო, რომელზეც ინვესტიციათა 44.2% მოდის. მეორე ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატებია ჯამური ინვესტიციების 17%-ით. მესამე ადგილზე პანამაა 11.9%-ით“ (იხ.დიაგრამა 2.2-3).

⁷ „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2019 წელს“, <https://1tv.ge/news/winaswari-monacemebit-2019-wels-saqartveloshi-pirdapiri-uckhour-i-investiciebi-0-2-procentit-gaizarda/>

⁸ მონაცემები აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>

⁹ ჟურნალი „ტაბულა“. <https://www.tabula.ge/ge/story/172819-2020-tslis-i-kvartalshi-pirdapiri-ucxouri-investiciebi-417-it-shemcirda>

2.2-1 დიაგრამაზე ნათლად ჩანს, თუ როგორ იცვლება პუი ბოლო 5 წლის განმავლობაში. 2017 წლიდან ფიქსირდება კლების ტენდენცია. 2019 წელს 2018 წელთან შედარებით მაჩვენებელი 0,2%-ით გაიზარდა, მაგრამ თუ დავაკვირდებით 2020 წლის პირველ კვარტალს, 2019 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ქვეყანაში პუი მკვეთრად მცირდება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ბიზნესგარემოში არსებული პრობლემებით, საგარეო ლიკვიდურობის სუსტი მაჩვენებელით, რეგიონული კონფლიქტებით, სამართლებრივი და ეკონომიკური ინსტიტუტების არასანდოობით, ქვეყნის არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და ა.შ.

თავი 3. საქართველოს საინვესტიციო გარემოს შეფასება

3.1 საინვესტიციო გარემო და ინვესტიციების არსებული სამართლებრივი სტანდარტები საქართველოში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტია. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. ქვეყანაში აქტიურობა საინვესტიციო პოლიტიკის კუთხით 1998 წლიდან შეინიშნება. ნათელია, რომ ღია ეკონომიკა და ინვესტიციები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის უმთავრესი ფაქტორებია. ქვეყნის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ღია ეკონომიკისაგან შესაძლებელია მაქსიმალური სარგებლის მიღება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დახმარებით. აღსანიშნავია რომ ქვეყანაში არსებული მწირი შემოსავლების გამო მოსახლეობის საოჯახო დანაზოგები დაბალია და, შესაბამისად, შიდა ინვესტიციების საკმაოდ დაბალი მაჩვენებელიც ფიქსირდება, რაც კიდევ უფრო ზრდის უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულებას.

ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა არაერთი ურთულესი გამოწვევის წინაშე ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში, რომელიც მოიცავდა, როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს. აქ იგულისხმება ისეთი პრობლემების დაძლევა, როგორებიცაა ინფლაცია, საბანკო და საფინანსო სექტორის სირთულეები, ეროვნული ვალუტის დამკვიდრება, შემოსავლების უთანასწორობა, ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა და სხვ.

ამ ამოცანების გადაწყვეტის პარალელურად შეიქმნა გარემო, რომელიც ხელს შეუწყობდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. აგრეთვე, მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ეტაპი სრულიად სხვა მოთხოვნებს აყენებს საფინანსო და საკრედიტო სფეროებთან მიმართებით. კერძოდ, საინვესტიციო პროცესების სრულფასოვან განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ქვეყანაში სამეურნეო გარდაქმნების პერიოდში ინვესტიციების კლების ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით იყო გამოწვეული. დაგროვების დეფიციტმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. საწარმოთა უმეტესობა ვეღარ

ახორციელებდა ინვესტიციებს დაბალი შემოსავლების გამო, რასაც ემატებოდა მაღალი საპროცენტო განაკვეთი, როგორც დამატებითი ტვირთი კომპანიებისთვის. გარდა ამისა, კრედიტები მოკლე ვადით გაიცემოდა და მისი გამოყენება ვერ ხერხდებოდა წარმოების სფეროში.

ამ ფონზე საქართველოში არსებული საინვესტიციო პოლიტიკის კრიზისის მიზეზებისა და მისი გამოვლენის ფორმების მიმოხილვა ძალზე მნიშვნელოვანია:

1) მკვეთრად შემცირდა დაგროვებისა და კაპიტალური დაბანდების ოდენობა. შეინიშნებოდა ინვესტიციების ხვედრითი წილის კლება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით (საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე 24.7%-ით ნაკლები აღმოჩნდა).

90-იანი წლები საკმაოდ მძიმე გადასატანი იყო საქართველოს ეკონომიკისთვის. მან მნიშვნელოვნად დააზარალა არაერთი სფერო. მთელ რიგ ეკონომიკურ დარგებში არათუ ვერ ხერხდებოდა ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოება, არამედ პირიქით - მცირდებოდა საწარმოო სიმძლავრეები ინვესტიციების ნაკადების არარსებობის გამო.

2) ინვესტიციების სფეროში გატარებული რეფორმები არაეფექტიანი გამოდგა. სწორედ რეფორმების შეუსაბამობამ, სწორი სტრატეგიისა და გამოცდილების უქონლობამ მიიყვანა ქვეყანა ინვესტიციური გარემოს გაურესებამდე.

3) გაუარესდა საწარმოებისა და საოჯახო მეურნეობების ფინანსები. ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე დიდი როლი სწორედ ამ ყველაფერმა ითამაშა. ხოლო იმის გამო, რომ საოჯახო მეურნეობები დამოუკიდებლად განკარგავენ ფულად სახსრებს და მათი სურვილისამებრ ხდება სახსრების დაბანდება ბიზნესშიც, საოჯახო მეურნეობების შემოსავლები ინვესტიციების დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევა.

გარდა ამისა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საწარმოების მოგების როლი ინვესტიციების დაფინანსებაში. ტრანსფორმაციის პერიოდში გატარებულმა რეფორმებმა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითებასთან ერთად საწარმოებიც გააღატაკა. რესურსების ქრონიკული უკმარისობისა ან მათი არადანიშნებულისამებრ გამოყენების პირობებში მკვეთრად გაუარესდა საინვესტიციო გარემო.

4) სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების დაფინანსებისადმი კრიტიკულმა განწყობილებამ მაკროეკონომიკური სიტუაციის უკუსვლის პარალელურად სიტუაცია კიდევ უფრო გაამძაფრა. რეფორმების გააქტიურების პირველ ეტაპზევე ინვესტიციების

განხორციელების მექანიზმები ღრმა კრიზისმა მოიცვა. ინვესტიციების შემცირება გამოვლინდა საწარმოო დანიშნულების პროდუქტის წარმოებაშიც. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სტრატეგია წამგებიანი იყო გრძელვადიან პერიოდში. საქართველოსთან მიმართებით მდგრადი ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა გაჭიანურდა და ინვესტიციების დაფინანსება მკვეთრად შემცირდა, რამაც შედეგად ეკონომიკის პარალიზება მოიტანა. ინვესტიციების დაფინანსების შემცირება გამოწვეული იყო ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა ანტიინფლაციური პოლიტიკა, პრივატიზაციის მაღალი დონე და ინვესტიციური პროგრამის შეკვეცა. საბოლოოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის სურვილს და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ამოცანას ეკონომიკური კეთილდღეობის განადგურება მოჰყვა.

5) მიიჩნეოდა, რომ თუ მსხვილი საწარმოების პრივატიზაციიდან მიღებულ რესურსებს გამოიყენებდნენ ინვესტიციების სახით, ეს ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. თავის მხრივ, პრივატიზებული საწარმოები შეძლებდნენ უფრო მომგებიან და ეფექტიან ფუნქციონირებას და დამატებითი სახსრების მოზიდვას. სამწუხაროდ, რეალობაში ეს იმედები არ გამართლდა, რაც სახელმწიფო საწარმოების ჩრდილოვანი ეკონომიკის მარწუხებში მოქცევით იყო განპირობებული. ამავდროულად, ისიც უნდა ითქვას, რომ პრივატიზებულმა სახელმწიფო საწარმოებმა ინვესტიციური ხარჯები შეამცირეს.

მნიშვნელოვნად გაუარესდა დაგროვების მაჩვენებლები, ძირითადი კაპიტალის მორალური და ფიზიკური ცვეთის ფონზე დაეცა წარმოების დონეც, რამაც მისი სტრუქტურული გარდაქმნა კიდევ უფრო გაართულა. საკმაოდ კომპლექსურ პრობლემად იქცა ისეთი პროდუქციის წარმოებაც, რომელიც ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ინვესტიციური გარემოს შეფასება საკმაოდ რთულია. როგორც წესი, უცხოელი ინვესტორები ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებაზე ამახვილებენ ყურადღებას და პოზიტიური შეფასებებით გამოირჩევიან. ამას ემატება ისიც, რომ საკმაოდ იაფია სამუშაო ძალა და ბუნებრივი რესურსების სიუხვის ფონზე სიტუაცია საკმაოდ ხელსაყრელი ინვესტიციური გარემოს ჩამოყალიბების ბაზა იქმნება. „*ინვესტორისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური განვითარების დინამიკას, სადაც აისახება ბევრი ეკონომიკური*

მაჩვენებელი, მაგალითად, სახელმწიფო ვალი, ინფლაციის დონე, რასაც ინვესტორი აუცილებლად ითვალისწინებს“¹⁰.

საქართველოში არსებობს ისეთი დარგები, რომლებიც პოზიტიურ გარემოს ქმნიან ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ამ დარგებს მიეკუთვნება ნავთობის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, სამთოქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობის ცალკეული სახეობები, მტკნარი და მინერალური წყლები, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, სოფლის მეურნეობის გარკვეული დარგები და სხვ.

“საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რომელთა შორისაც განსაკუთრებით აღსანიშნავია: საკანონმდებლო ბაზის მუდმივი გაუმჯობესება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების (DfTA) 5 და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების გაფორმება ჩინეთთან, თურქეთთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან, ისლანდიასთან, ლიხტენშტეინთან, დსთ-ის და ევროკავშირის ქვეყნებთან” [კასრაძე თ., 2014:33-43].

აგრეთვე, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ენერგეტიკული ბაზრების დიდ ინტერესს იწვევს. საქართველო ესაზღვრება ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტიორ ქვეყნებს (რუსეთსა და აზერბაიჯანს) და თურქეთს, რომელიც ენერგორესურსების დიდი მომხმარებელია. ამიტომაც საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პოზიცია უკავია რეგიონში.

ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესების მიზნით საქართველოში შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“, რომლის მიზანი ქვეყანაში ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესებაა.

ამასთანავე, მოქმედებს საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომლის ამოცანას ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა წარმოადგენს ინვესტირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. ეს კანონი ვრცელდება, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ინვესტიციაზე და იგი ადგენს მასტიმულირებელ ფორმებს ინვესტიციების წახალისების მიზნით. აღნიშნული კანონის შესაბამისად, ეროვნული საინვესტიციო სააგენტო ინვესტორს უწევს მომსახურებას, აძლევს რეკომენდაციებს, ეხმარება მას საინვესტიციო საქმიანობის

¹⁰ ჭინჭარაძე ბ., „რატომ მცირდება სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები?“, 2018 წ <http://bfm.ge/ratom-mcirdeba-soflis-meurneobashi-investiciebi/>

წარმართვაში, რაც მოიცავს გარკვეული ნებართვებისა თუ ლიცენზიების მიღებას, ხელშეკრულებების დადებას. სააგენტოს მიერ გაწეული აღნიშნული მომსახურება ფასიანია, გარდა განსაკუთრებული ინვესტიციების განხორციელების შემთხვევებისა.

ინვესტორს, რომელიც ქვეყანაში 8 მლნ. ლარის ან მეტი ღირებულების კაპიტალდაბანდებას განხორციელებას აპირებს, აქვს უფლება, მთავრობისგან განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება მოითხოვოს. ეს ხდება მაშინ, როდესაც ინვესტიცია ეკონომიკურ განვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს. ამასთანავე, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს იმ კაპიტალდაბანდებებს, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში ხორციელდება, თუმცა ასეთი ინვესტიციის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 2 მლნ. ლარს.

საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფაზე, მის სამართლებრივ რეგულირებაზე, საინვესტიციო პროგრამების უსაფრთხოდ განხორციელებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე (ადგილობრივი და უცხოური) და მათ დაცვაზე გარანტიებს იძლევა საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ“ [საქართველოს კონსტიტუცია].

„2013 წელს მიღებულია კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდის ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნების დადგენა და საქმიანობის განსაზღვრა. კანონის მიხედვით, არსებობს საპაიო საინვესტიციო ფონდი (ღია, ინტერვალური, დახურული), გაცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი, სააქციო საინვესტიციო ფონდი და ისინი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა“ [გ. ერქომაიშვილი 2016: 43].

ბოლო პერიოდში საქართველოში მიიღეს ორი სპეციალური სტატუსი საგადასახადო კოდექსში (უცხოური კომპანიის ფილიალი და საერთაშორისო საწარმო), შემცირდა საგადასახადო ტვირთი, განხორციელდა საბაჟო რეფორმები, მოხდა აგრესიული პრივატიზაცია და შემცირდა რეგულაციები. აგრეთვე, უცხოური ინვესტიციების სტიმულირების მიზნით მთავრობამ მიიღო კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, რომელიც ემსახურება ეკონომიკური აღმავლობის

ხელშეწყობასა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას მრეწველობის დარგში. თავისუფალი ინდუსტრიული ზონებში შეიქმნა არაერთ ქალაქში, მათ შორის თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოქნილი კანონმდებლობა ინვესტორებს საკმაოდ ხელსაყრელ და მიმზიდველ გარემოს სთავაზობს.

რა თქმა უნდა, საგადასახადო შეღავათები დიდ სტიმულია უცხოური კომპანიებისთვის, მაგრამ თანადროული, მწყობრი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს ინვესტიციების არაეფექტიანი განხორციელება და სახელმწიფომ არ დაკარგოს უმნიშვნელოვანესი ფულადი ნაკადები. საგადასახადო შეღავათები ან მათგან სრული გათავისუფლება სტიმულია ინვესტორისთვის, მაგრამ აუცილებელია იმის გააზრება, რომ მოცემული ინვესტიცია თავსებადი იყოს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ მიზნებთან, უწყობდეს ხელს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოდერნიზაციის დახმარებით ასტიმულირებდეს ბიზნესს.

ზემოხსენებული შეღავათები (ფინანსური თუ საგადასახადო) დადებითი ეფექტის მომტანი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკისთვის. როცა ხორციელდება ინვესტიციების მასტიმულირებელი პოლიტიკა, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა რომელიმე კონკრეტულ მასტიმულირებელ ფორმაზე, არამედ სახელმწიფოში მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს ფორმირებაზე, რომელიც დამოკიდებულია, როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ, ეკონომიკურ და სოციოკულტურულ ფაქტორზე.

3.2 საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები

საინვესტიციო პროგრამების სიჭარბე საქართველოში შეინიშნება 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში შედარებით სტაბილურდება პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია და თავს იჩენს უცხოელი ინვესტორების ინტერესი. 1988 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსალოდნელზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - 265 მლნ აშშ დოლარი. ერთ-ერთი დიდი პროექტი იყო „ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის ტერმინალის მშენებლობა“.

იმისათვის, რათა ქვეყანაში შემოვიდეს უცხოური ინვესტიციები, აუცილებელია ინვესტორების სტიმულირება და დაინტერესება. უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში არსებობდეს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო:

1. საგადასახადო შეღავათები;
2. იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლება საინვესტიციო პროექტისთვის;
3. მიწების გაყოფის, პროექტების დაფინანსების და სხვა აუცილებელი სქემების, ჩამოყალიბების შესაძლებლობა;
4. ქვეყნის, მისი ეკონომიკური დარგების, რეგიონების საინფორმაციო უზრუნველყოფა საინვესტიციო შესაძლებლობების კუთხით;
5. საკანონმდებლო გარანტიები.

პირდაპირი ინვესტიციები აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ხელს უწყობენ მრეწველობის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ახალი სტანდარტების დანერგვას, ინოვაციების განვითარებას, აქტიურდება საინვესტიციო პროცესები, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას, წახალისებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება და სხვ. პირდაპირი ინვესტიციების დროს კაპიტალის გატანა მყისიერად შეუძლებელია, მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს პორტფელურ ინვესტიციასთან, მაშინ შესაძლებელია კაპიტალი სწარფად გადაადგილდეს ერთი ქვეყნიდან მეორეში.

შესძლოა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს გარკვეული თვალსაზრისით უარყოფითი გავლენა ჰქონდეთ. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ტრანსნაციონალური კომპანიები ერევიან ქვეყნის შიდა სამზარეულოში, საკანონმდებლო პროცესებში. აღნიშნული კი აუცილებლად უარყოფით შედეგამდე მიგვიყვანს. გარდა ამისა, შესაძლებელია მსგავსმა კომპანიებმა მათი კონკურენტული

უპირატესობიდან გამომდინარე, შეავიწროვონ ადგილობრივი ფირმები. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც შეუძლებელს გახდის ქვეყანაში მსგავსი სცენარის განვითარებას.

„ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს სტიმულირების მიზნით შეიძლება ყურადღება გამახვილდეს შემდეგ მნიშვნელოვან მიმართულებებზე.“¹¹

1. საპროცენტო განაკვეთის შემცირება;
2. გადასახადების შემცირება;
3. საჯარო ხარჯები;
4. ფასის პოლიტიკა
5. ტექნოლოგიური ცვლილება და ინოვაცია;
6. კონკურენციის წახალისება და მონოპოლიური პრივილეგიების გაუქმება
7. ეკონომიკური დაგეგმვა.

1. საპროცენტო განაკვეთის შემცირება:

ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთების შემცირება ხელს შეუწყობს ინვესტიციების უფრო დიდი მასშტაბით მოზიდვას. გარდა ამისა წახალისებს ადგილობრივ ბაზარს, რაც პირდაპირ კავშირშია ადგილობრივ ეკონომიკური დარგების განვითარებასთან. მონეტარულმა ორგანომ, „საქართველოს ეროვნულმა ბანკმა“ საბანკო განაკვეთების შემცირებით უნდა მიიღოს იაფი ფულის პოლიტიკა, რაც დაინტერესებს როგორც ადგილობრივ ისე უცხოელ ინვესტორს.

საქართველოში საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე კვლავ მაღალი რჩება, მაშინ როდესაც დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთები ბოლო პერიოდში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. კრედიტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ბიზნესის დასაწყებად, ისე მისი გაფართოებისათვის. *„დეპოზიტებზე თანხის განთავსება არის მოსახლეობისათვის დანაზოგების ინვესტირების პრაქტიკულად ერთადერთი გზა, რადგან ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს საფონდო ბირჟა, რომელიც ხელს შეუწყობდა თავისუფალი რესურსების მობილიზებას და საჭიროებისამებრ გადანაწილებას. დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთის სიმცირის გამო მოსახლეობას ურჩევნია, მთლიანად მოიხმაროს შემოსავლები, ვიდრე დეპოზიტებში მოახდინოს ინვესტირება [კასრაძე თ., 2014:33-43].“*

¹¹ ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ., „საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები“ 2009წ.

2. გადასახადების შემცირება:

გადასახადები ისე უნდა შემცირდეს, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოების ერთჯერადი შემოსავლის ზრდას. თუ შემცირდება მოგების გადასახადი ეს გაზრდის კორპორატიულ შემოსავლებს, რაც თავის მხრივ ინვესტიციებს წახალისებს. ამის საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია ესტონური მოდელი, რომელიც ცოტა ხნის წინ დაინერგა ჩვენს ქვეყანაში.

3. საჯარო ხარჯები:

გამოიყოფა ორი სახის საჯარო ხარჯი: კომპენსაციური ხარჯები და ტუმბო-პრაიმინგი, რაც ეკონომიკაში ინვესტიციების სტიმულირებაზე მოქმედებს. ტუმბო-პრაიმინგი ასტიმულირებს კერძო ინვესტიციებს.

დეფიციტისთვის განკუთვნილი კომპენსაციის ხარჯები იგივეა რაც კომპენსატორული ხარჯები, რომელიც თავს იჩენს კერძო ინვესტიციების დეფიციტის დროს. მთავრობის მიერ გამოყენებული კომპენსატორული ხარჯები (რომელიც ეკონომიკაში კერძო ინვესტიციების დეფიციტის შევსებისკენაა მიმართული) უნდა იყოს მასშტაბური და გაგრძელდეს მანამ, სანამ კერძო ინვესტიციებს ნორმალურ მდგომარეობას არ დაუბრუნდება.

4. ფასის პოლიტიკა:

ეკონომიკაში ფასების რყევა, როგორც წესი, უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციების სტიმულირებაზე, შესაბამისად, ფასების სტაბილურობა საინვესტიციო გარემოს სრულყოფისათვის აუცილებელი კომპონენტია (ფასების სტაბილურობა არ უნდა გავივივოთ ფასების სიმკაცრესთან).

5. ტექნოლოგიური ცვლილება და ინოვაცია:

ქვეყანაში ტექნოლოგიური ძვრის პროცესები (მანქანათმშენებლობის დარგების განვითარება, სოფლის მეურნეობის სექტორში ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა) ხელს უწყობს გარკვეული სიახლეების წინ წამოწევას: იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ბაზარზე ინერგება წარმოების ახალი მეთოდები, ახალი პროდუქტი, იზრდება კაპიტალზე მოთხოვნა, რაც განაპირობებს ინვესტიციების სტიმულირებას ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია მაქსიმალურად მხარი დაუჭიროს ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

6. მონოპოლიური პრივილეგიების გაუქმება და კონკურენციის წახალისება:

ქვეყანაში უნდა გატარდეს კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ფირმებს თანაბარ პირობებში ამყოფებს და არც ერთ ტრანსნაციონალურ კომპანიას არამყოფებს ადგილობრივ ფირმასთან უპირატეს მდგომარეობაში. გარკვეული მონოპოლიური პრივილეგიების გაუქმება ინვესტიციებს წახალისებს. კონკურენციის წახალისებით კი გაჩნდება კონკურენტული ბაზრები.

7. ეკონომიკური დაგეგმვა:

სწორი ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავება, დაგეგმარება, ადეკვატური სამრეწველო ბაზის შექმნა განაპირობებს ინვესტიციების მოზღვავებას ქვეყნის ეკონომიკაში.

გარდა ამისა ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს შემდეგი მახასიათებლები:

1. პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
2. გამაჭვირვალე ეკონომიკური გარემოს შექმნა;
3. მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის წარმართვა საწარმოო სექტორის ინტერესებიდან გამომდინარე;
4. ბიუროკრატიულ-კორუმპირებული ბარიერების მოხსნა;
5. იმ საგენტოების გააქტიურება, რომლებიც ასტიმულირებენ ინვესტირებას;
6. ეფექტური, გამჭვირვალე და ლეგალურ-სტაბილური გარემოს შექმნა;

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ თავიდან აიცილოს ორმაგი დაბეგვრა. აღნიშნული ხელშეკრულების უქონლობა გამოიწვევს უარყოფით გავლენას კაპიტალის მოძრაობაზე და ინვესტიციების განხორციელებას შეუშლის ხელს - როდესაც ინვესტირებას ახორციელებს ქვეყანა, რომელთანაც საქართველოს არ აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება, ინვესტორის საწარმო დაკავშირებულია, როგორც იმ ქვეყნის საგადასახადო, ისე რეზიდენტი ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობასთან. მსგავს ვითარებაში, ინვესტორები თავს იკავებენ ინვესტიციის განხორციელებისგან.

ინვესტიციების წახალისებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს შიდა დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნა. ამ კუთხით სტიმულირებისთვის სახელმწიფოს დიდი როლი უჭირავს. დამატებით, აუცილებელია საბანკო სექტორის კონტროლი, რათა მოხდეს ზომიერი საპროცენტო განაკვეთების შემუშავება. დაბალი საპროცენტო განაკვეთები წახალისებენ, როგორც საოჯახო მეურნეობებს, ასევე

ფირმებს განახორციელონ საკუთარი დანაზოგების ინვესტირება გარკვეული მიმართულებებით. ეს შეიძლება იყოს, როგორც სოფლის მეურნეობის სექტორი, მსხვილი სამრეწველო დარგები, ტურიზმი და სხვ.

ექსპორტ-იმპორტისა და სახელმწიფო ვალის საკითხი. აუცილებელია განხორციელდეს იმპორტ-ექსპორტის ანალიზი და მიღებული ინფორმაციით ხელი შეეწყოს ადგილობრივი წარმოების ამაღლებას, ადგილობრივი პროდუქციით იმპორტირებული საქონლის ეტაპობრივად ჩანაცვლებას¹².

პრივატიზაციის პროცესი საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ინვესტორების მოზიდვაში. ინვესტორი ცდილობს კაპიტალი დააბანდოს ლიკვიდურ აქტივში. ეს ხელს უწყობს კაპიტალდაბანდების შემცირებას და ნომინალთან შერდარებით დაბალი ღირებულების ფასად ქონების შესყიდვას. თუ ინვესტირება წარუმატებელი აღმოჩნდა, მაშინ ინვესტორს შესაძლებლობა აქვს გაყიდოს ქონება მინიმალური დანაკარგებით და დაიბრუნოს თანხები უკან. მნიშვნელოვანია, რომ ინვესტორი დაინტერესდეს პრივატიზების შემდგომ წარმოების გაფართოებით, ეს კი დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარემოზე, ადამიანური კაპიტალის კვალიფიკაციის მაღალ დონეზე.

სახელმწიფომ ყურადღება უნდა გაამახვილოს კაპიტალის გადინების პროცესზე, რომელიც ხასიათდება ზრდის ტენდენციით. როდესაც ხდება ადგილობრივი კაპიტალის გატანა ქვეყნის საზღვრებს გარეთ და ეს ხასიათდება მზარდი ტენდენციით, მაშინ ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ამიტომ უნდა შეიქმნას მარეგულირებელი სიტემა, რომელიც გაკონტროლებს ფულად ნაკადებს, ფულის ტრანსსაზღვრით მოძრაობას, ანუ დაწესდება გარკვეული შეზღუდვები, ხელი შეეწყობა ადგილობრივი ინვესტორების ინფორმაციულ უზრუნველყოფას. იმისთვის, რათა მოხდეს ფულის ტრანსსაზღვრითი მოძრაობის კონტროლი, აუცილებელია განისაზღვროს სწორი ეკონომიკური კურსი. მოხდეს გარკვეული ტიპის ინვესტიციების აკრძალვა, შეფასდეს საინვესტიციო რისკები, დაფინანსდეს კერძო ინვესტიციები, წახალისდეს ადგილობრივი მეურნეობები და სხვ.

კაპიტალის ტრანსსაზღვრითი მოძრაობა ბუნებრივია იწვევს აუცილებლობას იმისა, რომ მოხდეს სახსრების მოზიდვა საგარეო წყაროებიდან. საქართველოში უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება საგარეო დავალიანების კლების ტენდენცია. ეს კლება

¹² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: ექსპორტ-იმპორტის ანალიზი - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

მნიშვნელოვანია, ვინაიდან ინვესტიციების მოზიდვა პირდაპირ კავშირში იმყოფება ქვეყნის საგარეო ვალის სიდიდის მაჩვენებელთან.

შიდა დანაზოგების წარმართვა უნდა მოხდეს სამრეწველო სექტორში და არა მომსახურების სფეროში, საქართველოში ინვესტიციების დიდი ნაწილი მომსახურების სფეროზე მოდის, რომელიც დაახლოებით 4-ჯერ აღემატება მრეწველობაში ჩადებულ ინვესტიციებს. აღნიშნულ პრობლემაზე სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება. მხოლოდ მომსახურების სფეროს განვითარება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ვერ გაუმჯობესებს, აუცილებელია ადგილობრივი მრეწველობის ხელშეწყობა. იმის ფონზე, რომ ინვესტორებს იზიდავთ ისეთი სფეროები და რესურსების ერთობლიობა, რომლებიც მონოპოლიებს წარმოადგენენ (მაგალითად სასარგებლო წიაღისეული, ტელეკომუნიკაციის სისტემები, ენერგეტიკის სექტორი, მრეწველობის სექტორი და სხვ.).

ინოვაციები - ინოვაციებს ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დიდი როლი უკავია. ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან ეკონომიკური სიმძლავრით, მუდმივად აუმჯობესებენ ტექნოლოგიებს და ინოვაციურ პროდუქტებს ნერგავენ. კომპანიები უწყვეტად ვითარდებიან, მსოფლიო მასშტაბით იქმნება საკუთარი საქონლისა და მომსახურების მიწოდების ქსელები, ინტერესდებიან ქვეყნებით, რომლებსაც ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო აქვთ.

ქართული კომპანიები სამწუხაროდ ინოვაციების დანერგვის კუთხით დიდად არ გამოირჩევიან, ეს ალბათ განპირობებულია რთული ფინანსური მდგომარეობით. აუცილებელია მთავრობამ წახალისოს მცირე და საშუალო სამეწარმეო კომპანიები, რომლებიც ცდილობენ წარმოების პროცესში დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგიები. იმისთვის, რომ განხორციელდეს ინოვაციებში საინვესტიციო პროცესი სახელმწიფომ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს განათლებასა და მეცნიერების სხვადასხვა ფუნდამენტურ დარგებს, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი იდეების წარმოშობას ინოვაციური კუთხით.

იაფი მუშახელი ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც იწვევს ინვესტორების დაინტერესებას საქართველოში. თუმცა, მხოლოდ იაფი მუშახელი ვერ მოიზიდავს ინვესტიციებს. ინვესტორებისათვის პრიორიტეტულია კვალიფიციური სამუშაო ძალა, ინოვაციები და ტექნოლოგიები. მოდერნიზებული ტექნოლოგიების დანერგვა ამცირებს წარმოების ხარჯებს, მაგრამ ინოვაციური ტექნოლოგიების დასამკვიდრებლად

აუცილებელია კომპეტენტური სამუშაო ძალა. საწყის ეტაპზე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი გადამზადების პროცესი.

საქართველოს ეკონომიკაში საინვესტიციო გარემო პირობების გაუმჯობესებამ დიდი როლი უნდა ითამაშოს. წინასწარ უნდა განისაზღვროს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ინვესტირების საგარეო და საშინაო არხების მაქსიმალური შეთანაწყობისაკენ: შიდა რეზერვების ამოქმედება, საგარეო ვალის სიდიდის დაბალ ნიშნულზე დაწევა, ადამიანისეული კაპიტალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.

ქვეყნის ინტერესებში განსაკუთრებით უნდა შედიოდეს მოტივაციის ამაღლება უცხოელ ინვესტორთა იმ კატეგორიისათვის, რომელთა ფულადი ნაკადები მიმართულია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად. ახალი საწარმოების შექმნის პროცესში აუცილებელია დაჩქარდეს ლიბერალიზაციის პროცესი, გაჯანსაღდეს ფინანსური სექტორი, გაუმჯობესდეს ბიზნესგარემო.

„აუცილებელია ცალკეული დარგების განსაზღვრა, რომელთა დახმარებაც განხორციელდება ბიუჯეტიდან. ეს წინგადადგმული ნაბიჯი, ერთი მხრივ ხელს შეუწყობს ამ სექტორების განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ კი წაახალისებს და შესაძლებელი იქნება ქვეყანაში სტაბილური განვითარების შესაძლებლობა“¹³.

ეკონომიკური დაბეგვრის დონე ეკონომიკის ეფექტიანობის კარგი მაჩვენებელია. რა თქმა უნდა, იგულისხმება გადასახადის სახეობები, რომლებიც მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე (დღგ, საბაჟო, აქციზი, სოციალური გადასახადი, მოგება, საშემოსავლო). მართალია გადასახადების დონე გავლენას ახდენს უცხოელი ინვესტორების მოზიდვაზე, მაგრამ ქვეყანაში ინვესტიციათა მიზიდულობის დონის შეფასების საგადასახადო პოლიტიკით აბსოლუტიზირება არ იქნება მართებული. მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული გარემოც. ინფრასტრუქტურული გარემოს სრულყოფა კი ხდება სწორედ გადასახადებიდან მიღებული თანხით. როგორც ვიცით საგადასახადო შემოსავლები ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტის შემავსებელი მთავარი კომპონენტია. მისი მეშვეობით ხდება საკმაოდ ბევრი ხარჯის დაფინანსება. მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, დაბალმა გადასახადებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიონ. მაგალითად, ტურიზმის სფერო, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფრასტრუქტურული პროექტები, ბიუჯეტში შესაბამისი თანხის არარსებობა კი ხელს შეუშლის მათ განხორციელებას და დააზარალებს აღნიშნულ სექტორს. თუმცა, თუ

¹³ “ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია და სამომავლო გეგმა“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/uploads/files/2017/news/2019/invest_in_georgia_20_21.pdf

სახელმწიფო დააწესებს დაბალ გადასახადებს და საინვესტიციო პოლიტიკას მისცემს სწორ მიმართულებას, ხელს შეუწყობს ინვესტორის ეფექტურ საქმიანობას, რა თქმა უნდა, შემოსავლის ზრდის პროპორციულად, მაშინ მსგავსი ხარჯები გააბათილებენ დაბალი გადასახადების უარყოფით გავლენას. მაგალითისათვის, ადამიანისეული კაპიტალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით, გაწეული დანახარჯები შეამცირებს ინვესტორის საწარმოო დანახარჯებს და მოახდენს მოგების მაქსიმიზაციას.

საინვესტიციო გარემოს სრულყოფისთვის, ასევე მნიშვნელოვანია საინვესტიციო ფონდები, სადაზღვეო კომპანიები, ბირჟები, განვითარების სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამა. აღნიშნული ღონისძიებები უფრო მრავალფეროვანს გახდის ქვეყნის ეკონომიკურ გარემოს და ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსების მოზიდვას, დაეხმარება ინვესტორებს უფრო თამამი ნაბიჯების გადადგმაში.

საინვესტიციო პროცესების სტიმულირებაში დიდ როლს თამაშობს აგრეთვე პრივატიზაციის პროცესი. საწყის ეტაპზე პრივატიზაციის პროცესი არასწორად წარმართა. მხოლოდ მესამე ეტაპი პრივატიზაციის, რომელიც დაიწყო 2003 წლიდან და დღესაც გრძელდება ფოკუსირებულია ინვესტორებისთვის, შესაბამისი ბიზნეს გარემოს შეთავაზებაზე და უცხოური ინვესტორების მოზიდვაზე.

აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და სახელმწიფო საკუთრებაშია მსხვილი სტრატეგიული საწარმოები. პრივატიზაციის პროცესის სწორად წარმართვისათვის აცუილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება: ა) როგორც უცხოური ინვესტორებისთვის, ისევე პრივატიზაციის პროცესში ჩართული ადგილობრივი მეწარმეებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა; ბ) მართვის ეფექტურობის ამაღლება იმ ქონების ნაწილისა, რომელიც სახელმწიფოს განაკრგულებაშია; გ) სამომავლო სტრატეგიის შემუშავება; დ) არსებული პრივატიზებული აქტივების გადახედვის შედეგად მათი დეპრივატიზაცია; ე) განხორციელდეს პრივატიზებული აქტივების რეგულური კონტორლი სპეციალური ორგანოების მხრიდან. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან დროული რეაგირება და საპრივატიზაციო პოლიტიკის სწორი მიმართულებით დაგეგმარება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას, აღნიშნული კი თავის მხრივ ინვესტიციების რაოდენობის ზრდას გამოიწვევს.

3.3. საინვესტიციო გარემოს სრულყოფის სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში

გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთადერთი ფაქტორია, რომელზეც სახელმწიფო ზეგავლენას ვერ ახდენს. თუმცა, მთავრობას შეეწევს ძალა, რომ გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ინვესტორს შესაბამისი ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო შეუქმნას, რათა არსებული პოტენციური ვარიანტებიდან მან სწორედ მოცემული ქვეყანა აირჩიოს. ინვესტირებამდე ინვესტორთა მთელი ყურადღება მიმართული ქვეყნის რისკ ფაქტორების გაანალიზებისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ შრომის ბაზარზე საკმაოდ კვალიფიცირებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაა, მათი ღირებულება მაინც დაბალია, რაც ინვესტორებისათვის მიმზიდველია. ამასთან, ინვესტორისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეზიდენტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს, როგორცაა ინფალციის დონე, საშინაო და საგარეო ვალის სიდიდე, ბიზნესის თავისუფლების არეალი, ფისკალური პოლიტიკა და სხვა.

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორების ერთობლიობა

1. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (ინფლიცია, საპროცენტო განაკვეთი, მშპ, ვალუტის გაცვილითი კურსი, მშპ-ს ზრდის ტემპი);
2. სახელმწიფო ვალი და ექსპორტ-იმპორტი;
3. უცხოური ინვესტიციები ;
4. შიდა დანაზოგების მობილიზება;
5. პოლიტიკურ-სოციალური ფაქტორები.

ინვესტიციების ზრდა ასტიმულირებს ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას ქვეყანაში, იზრდება პროდუქტიულობის მაჩვენებელი, დადებითად მოქმედებს დასაქმების დინამიკასა და ექსპორტზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან სარგებლის მაქსიმიზაციისთვის მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, კონკურენციის განვითარებას, უნდა შეიქმნას დასავლური სამართლებრივი მექანიზმი და იფრასტრუქტურა. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება უნდა მოხდეს ისეთ დარგებში, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის


ამაღლებას. შეიქმნას სამართლებრივი გარემო, რომელიც ყველა ეკონომიკურ სუბიექტს მისცემს განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს. აუცილებელია განხორციელდეს წინა წლებში შემოსული ინვესტიციების რეინვესტიციის ხელშეწყობა, აუცილებელია სწორედ განსაზღვრული პოლიტიკის შემუშავება და მისი გატარება, რაც ხელს შეუწყობს ამოცანების გადაწყვეტას და შეუფერხებელ ეკონომიკურ განვითარებას¹⁴.

უცხოური კომპანიები დიდ ყურადღებას ამახვილებენ ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებელზე. სწორედ ამიტომ, უკიდურესად მნიშვნელოვანია წახალისდეს ბიზნეს-ინვესტიციები. პრიორიტეტად შეგვიძლია მივჩნიოთ ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, ეს ხელს შეუწყობს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას.

გრძელვადიან პერიოდში, უცხოური ინვესტირება უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საგადასახადო ბალანსზე - ინვესტირებიდან მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილის საზღვარგარეთ გაედინება. სწორედ ესაა უცხოური კაპიტალდაბანდების ნაკლი შიდა ინვესტიციასთან შედარებით. შიდა კაპიტალდაბანდებების მიერ მიღებული მოგება კი ხმარდება ქვეყნის შიგნით კვლავწარმოების გაფართოებას. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელსაც აქვს უარყოფითი მხარე - არ გააჩნია ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონე. გარდა ამისა, თუ ადგილობრივი კომპანია სხვა ქვეყნის კომპანიებთან არ თანამშრომლობს, მხოლოდ ადგილობრივი ინვესტიციებით საერთაშორისო ბაზარზე მოხვედრა რთულია. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების ქაოსურად დაბანდება კატეგორიულად მიუღებელია - ერთი არასწორი ნაბიჯი და შეიძლება ქვეყნის სტატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები სხვა ქვეყნის გავლენის ქვეშ მოექცეს.

იმისთვის, რომ ქვეყანაში ინვესტირების დონე გაიზარდოს სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის განვითარება. ძლიერი სოფლის მეურნეობის სიტემა ნიშნავს ადგილობრივი მრეწველობის, გადამამუშავებელი ქარხნების არსებობის აუცილებლობას, რაც დაკავშირებულია შემდგომ უცხოური ინვესტიციების სტიმულირებასთან.

¹⁴ ბუჟანიძე ნ., „ეროვნული განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები“ 2018 წ. გვ 73.



შემდეგი პრიორიტეტი, რომელზეც აუცილებელია ყურადღების გამახვილება ეს არის საქართველოს ერთ-ერთი მზარდი სექტორი - ტურიზმი. ტურიზმი ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესისა და მასთან კავშირში მყოფი დარგების განვითარებას. სექტორს წინსვლის ძალიან დიდი პოტენციალი აქვს, აუცილებელია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ტურისტულ ლოკაციებში, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავს და მიმიზღვევს გახდის ამ სექტორს ინვესტორთათვის. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და დაინტერესება ქვეყნის ტურიზმის სექტორით. ეს შეიძლება მოიცავდეს საშუალო და მცირე ზომის სასტუმროების მშენებლობას, აგრეთვე ახალი ტურისტული ლოკაციების განვითარებაზე ზრუნვას. რა თქმა უნდა, მოგების მიღების პირობით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი რაც ხელს შეუწყობს საინვესტიციო გარემოს სრულყოფას, ეს არის ადამიანური კაპიტალი. ქვეყანას რეალურად სჭირდება კვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელიც არსებულ ბიზნესგამოწვევებს უპასუხებს. ამისათვის კი აუცილებელია თანამედროვე მოთხოვნების ადექვატური კომპეტენციის მქონე პედაგოგები და ადამიანები. ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა საჭიროებს

¹⁵ გრაფიკი 3.3-1 აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დარყდნობით. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

ფორმირებას და სერიოზულ ცვლილებებს ცოდნის სამომავლო რეპროდუქციისათვის. როდესაც ქვეყანას წამყვან დარგებში ჰყავს მაღალკვალიფიციური მუშახელი, ეს ხელს შეუწყობს არა მარტო ინვესტიციების, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ განათლება უნდა იყოს, რომელიც ხელს შეუწყობს სამომავლოდ კვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბების პროცესს.

უდიდესი როლი უნდა მიენიჭოს შიდა დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ დაბალია, ეს მაჩვენებელი იზრდება. შიდა დანაზოგები საკმაოდ დიდი პოტენციალის მატარებელია.

აუცილებელია დაწესდეს კაპიტალის ტრანსაზღვრით მოძრაობაზე გარკვეული რეგულაციები, შექიმნას მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც რეგულაურად მოახდენს მონიტორინგს. კაპიტალის ხშირი გადინება ქვეყნიდან ხელს უშლის ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას, ამიტომ მისი კონტროლი აუცილებელია.

საინვესტიციო გარემოს შეფასებას ვახდენთ შემდეგი ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით:

პირველი, ვიწრო გაგებით ეყრდნობა შემდეგ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს: მშპ, სამრეწველო პროდუქციის და ეროვნული შემოსავლის წარმოების მასშტაბის დინამიკა; ეროვნული შემოსავლის მოხმარების, განაწილების და დაგროვების დინამიკას; საპრივატიზაციო პროცესების მიმდინარეობას; საფონდო და ფულის ბაზრის განვითარების დონეს.

მეორე, საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორების შეფასება:

- ეკონომიკური პოტენციალის დახასიათება, რომელიც მოიცავს (ბიოკლიმატურ პოტენციალს, თავისუფალი მიწების არსებობას, შრომითი და ენერგორესურსებით უზრუნველყოფის დონეს).
- მეურნეობის ზოგადი პირობები (ეკოლოგიურ უსაფრთხოება, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, ძირითადი კაპიტალის ცვეთის ხარისხი და სხვ).
- რეგიონის საბაზრო გარემოს შეფასება (პრივატიზაცია და საინვესტიციო აქტივობები, ინფლაცია და საინვესტიციო საქმიანობა, მოსახლეობის ჩართულობის დონე საინვესტიციო პროცესებში, საექსპორტო შესაძლებლობები, უცხოური კაპიტალი).

- პოლიტიკური მახასიათებლები (მთავრობისა და მოსახლეობას შორის ნდობის ხარისხი, სოციალური მდგომარეობის მაჩვენებელი, რელიგიურ-ეროვნულ ურთიერთობათა შეფასება, რეგიონალურ ხელისუფლებასა და ფედერალურ ცენტრს შორის ურთიერთობა).
- სოციალური მახასიათებლები (სამედიცინო მომსახურების დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონე, ნარკომანია, დანაშაულებათა სტატისტიკური მაჩვენებელი, მოსახლეობის დამოკიდებულება, როგორც ადგილობრივი ისე უცხოური ინვესტორების მიმართ).
- ფინანსური ფაქტორები (ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებელი, მოსახლეობის ერთ სულზე არასაბიუჯეტო ფონდების სახსრებით უზრუნველყოფა, კრედიტის მიღების ხელმისაწვდომობა უცხოური ვალუტით, საბანკო განაკვეთის მაჩვენებელი, ბანკთაშორისი თანამშრომლობა).

საქართველოში, საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებლობის მიზნით აუცილებელია მოხდეს საბანკო სექტორის კონტროლი, მათი მაკონტორლებელი მექანიზმების შემუშავება მნიშვნელოვანია. მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს ინვესტიციების უკუგება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ჯ.კეინზის მიერ განხილულმა დაგროვების პროცესმა იჩინა თავი. კეინზის მსჯელობით, თუ ინვესტირება გაცილებით მეტია, ვიდრე დაზოგვა, ეს მდგომარეობა ქვეყანაში არსებული სუსტი ინვესტიციური გარემოსა და რეალური სექტორის უარყოფითი მაჩვენებლის ბრალია. ხელი უნდა შეეწყოს სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელიც ფოკუსირებულია მატერიალურ წარმოებაზე. ეს გამოიწვევს კაპიტალდაბანდებას და შეიქმნება მდგრადი განვითარების წინაპირობა ეროვნული მეურნეობისათვის.

საქართველოში განხორციელებული რეფორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში ძლიერი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია, რაც დამოკიდებულია მთელი რიგი ამოცანების დროულად გადაჭრაზე:

პირველი, აუცილებელია ქვეყანამ მიაღწიოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რისი შედეგიც იქნება ინფლაციის შეკავება და კვალვწარმოების უწყვეტობა, მუდმივად უნდა ხდებოდეს ქვეყანაში ნეგატიური პროცესების კონტროლი. მნიშვნელოვანია ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისას თითოეული წინამძღვრის სწორად შერჩევა,

ინფლაციური პროცესების მიზეზების შესწავლა, საბაზრო კონკურენციის განვითარების შესაძლებლობა და ა.შ;

მეორე, სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბება , რომელიც გაჯერებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონებით;

მესამე, „*მაკტიმლურიებელი როლის კავშირი ფისკალურ პოლიტიკასთან და მისი წინა პლანზე წამოწევა, რაც გაამყარებს საწარმოთა უმეტესობის ფინანსურ მაჩვენებლებს და მათი ინვესტიციური გარემოს ფორმირებას შეუწყობს ხელს. აგრეთვე, დადებით გავლენას იქონიებს უცხოური კაპიტალდაბანდების მოზიდვაზე*“¹⁶

მეოთხე, საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია მოხდეს საინვესტიციო პროექტების დაზღვევა.

საქართველოში ხშირად იქმნება მამტაბური საინვესტიციო პროექტები, მაგრამ ამ პროექტებთან დაკავშირებული რისკებისა და დაფინანსების საკითხის უყურადღებოდ დატოვება მიუღებელია. მიზანშეწონილია ამ რისკების მართვა, ამავე დროს სახელმწიფოს ყურადღებას საჭიროებს დაზღვევის სისტემაც. აღნიშნული პრობლემა, რაც ურო სწრაფად გადაიჭრება მით უფრო სწრაფად გააქტიურდებიან ინვესტორები როგორც ადგილობრივი კაპიტალდაბანდების მიმართულებით ისე უცხოური კაპიტალის მოზიდვის კუთხით. რაც შეეხება პროექტის დაფინანსების და რეალიზაციის რისკების მართვას, ამის შესწავლა მოუწევს პროექტის დაფინანსებასთან კავშირში მყოფ ყველა მონაწილეს, რა თქმა უნდა, სადაზღვეო კომპანიებს ჩათვლით.

ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით აუცილებელია ბაზრის კვლევა, მისი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სექტორების განვითარება, კვლევის შედეგების საფუძველზე კონკრეტული პროექტის წარდგენა. ქართული საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების პროცესში უპირატესობა რომელიმე კონკრეტულს არ უნდა მიენიჭოს. უპირატესი უნდა იყოს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება მთლიანობაში, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციოკულტურულ ფაქტორებზე.

¹⁶ **სანთელაძე ნ.** მაკროეკონომიკური რეგულირების სტრატეგია და სამრეწველო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში. იხ. „სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში“. (საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები). თბილისი, 13-14 ნოემბერი, 1997წ,

დასკვნა

საინვესტიციო გარემო არის იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ინვესტორების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენენ გავლენას. გლობალიზაციის პირობებიდან გამომდინარე საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანია. იგი დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკა, ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაცია და კორუფციის დონე, საკანონმდებლო ბაზა და თავისუფალი სასამართლო ხელისუფლება, ბიზნესის კეთების სიმარტივე და სხვ. აღნიშნული ფაქტორების პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების მდგომარეობას, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, საგადასახდლო ბალანსი, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, ინსტიტუციური და საკანონმდებლო ორგანოების მოწყობა, ეკონომიკური ზრდის, დასაქმების დონის, ფინანსური ლიბერალიზაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მაჩვენებლები.

დღეს საგადასახადო და საინვესტიციო კანონმდებლობა წინა წლებთან შედარებით უფრო ლიბერალურია. მიუხედავად ქვეყანაში არსებული მეტ-ნაკლებად სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოსი, შიდა ინვესტიციების მოცულობის მაჩვენებელი მაინც ძალიან დაბალია და ქვეყანა მთლიანად უცხოურ ინვესტიციებზეა დამოკიდებული. პრობლემაა საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილებაც, რაც ინვესტორს გრძელვადიანი დაგეგმვის საშუალებას არ აძლევს. ამრიგად, თუ გვინდა, მომდევნო ათწლეულში მაღალ ეკონომიკურ ზრდას მივაღწიოთ, უცხოური კაპიტალის მოზიდვის პარალელურად მასზე დამოკიდებულება უნდა შევამციროთ შიდა საინვესტიციო პოტენციალის განვითარების გზით. ამის ერთ-ერთი გზა შიდა დანაზოგების სტიმულირებაა.

ინვესტიციები დავაჯგუფეთ ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. გამოვიკვლიეთ ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ინვესტიციების მოცულობას, დეტერმინანტები, რომლებიც ინვესტიციების ნაკადის ინტენსივობაზე ახდენს გავლენას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, პუი-ს უარყოფითი და დადებითი მხარეები, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების კავშირი, განვითარებადი ეკონომიკის მქონე

ქვეყნებისთვის აუცილებელი ნაბიჯების აუცილებლობა საინვესტიციო გარემოს სრულყოფისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ საბაზრო მექანიზმებში ჩარევის დონე სახელმწიფოს მხრიდან განსხვავებულია. მაღალი საპროცენტო განაკვეთები უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციებზე, იზრდება დანახარჯები კაპიტალის ერთ ერთეულზე, სესხის მიღებაზე და მარაგების შენახვაზე.

ამრიგად, ნაშრომში ეკონომიკური თეორიების გამოყენებით განისაზღვრა ინვესტიციების მასტიმულირებელი პოლიტიკის დანიშნულება და სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პროცესში.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციურ ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ მაკრეკონომიკური არასტაბილურობა, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია, მცირე ბაზარი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ფინანსურ რესურსებზე ხელმიუწვდომლობა, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა, სიღარიბის დონის მაღალი მაჩვენებელი და ფინანსური ბაზრის განუვითარებლობა.

აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას მაკოორდინირებელი ცენტრი, რომელიც კოორდინატორის როლს მოირგებს და გააკონტროლებს გრძელვადიანი ინვესტიციების მიზნობრივ გამოყენებას, დასახავს პრობლემას და მიაგნებს მისი გადაჭრის გზებს. მოხდება რეგულარულად პრივატიზირებული აქტივების და ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სიმდიდრეების რეგულაური კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში პრივატიზირებული აქტივის დეპრივატიზაცია განხორციელდება.

ნაშრომში განისაზღვრა საინვესტიციო გარემოს სრულყოფის სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები საქართველოში, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ტურიზმის სექტორი, ადამიანისეული კაპიტალი, განათლება, შიდა დანახარჯების გარდაქმნა ინვესტიციებად, ფულის ტრანსსაზღვრითი მოძრაობის კონტროლი, საბანკო სექტორის რეგულირება და დაზღვევის სისტემის არსებობა.

ინვესტორებისათვის არსებული შეღავათების და მასტიმულირებელი ფორმების შეთავაზებას პოზიტიური გავლენა აქვთ ეკონომიკაზე. მაგრამ აუცილებელია, რომ საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების პროცესში კონკრეტულ რომელიმე მასტიმულირებელ ფაქტორზე არ მოხდეს ყურადღების გამახვილება, არამედ

უპირატესი უნდა იყოს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება, რომელიც დამოკიდებულია სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციოკულტურულ ფაქტორზე.



დაწარმო

დაწარმო №1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

Levan Tartarashvili

Investment stimulating macroeconomic policy

Master's Program - Economics

The Thesis is done to get the academic degree of Master of Economics

Head: Marina Tabatadze

Assistant professor

Tbilisi 2020

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბდალიძე მ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერა და განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება, ჟურნალი, საერთაშორისო ბიზნესი. ტ.III, ლ, თბილისი. 2004, გვ. 5-18.
2. ასლამაზაშვილი ნ., უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში, „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, კვარტალური მიმოხილვა, დეკემბერი 2005, გვ. (69-75) 9-88
3. ბაკაშვილი ნ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხისთვის საქართველოში, ჟურნალი „ეკონომიკა“ 1998, N; 4-6, გვ. 12-9.
4. ბერძენიშვილი მ., „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2014-2019 წ.“ 2020 წ. <https://1tv.ge/news/winaswari-monacemebit-2019-wels-saqartveloshi-pirdapiri-uckhouri-investiciebi-0-2-procentit-gaizarda/>
5. დადიანი თ., "საქართველო - ყველაზე გახსნილი ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის", საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი - GFSIS, https://www.gfsis.org/media/download/EJSEF/Tamar_Dadiani.pdf
6. ერქომაიშვილი გ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში. აკად. პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები . 2015.
7. ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი „უნივერსალი“ 2016.
8. კასრაძე თ., “საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი”. ჟურნალი „ეკონომისტი“ N 5. გვ. 33-43. 2014.
9. კლუმპი რ., „ეკონომიკური პოლიტიკა მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუტები“, „ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა ინვესტიციების წახალისების გზით“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2015წ.

10. კონჯარია ე., „ინვესტიციების ეკონომიკური არსი, მნიშვნელობა და სახეები“, ეკონომიკური პროფილი, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი N 10.
11. ლეიშვილი პ., „ეკონომიქსი“, თბილისი, 2003.
12. მესხი ი., სადისერტაციო ნაშრომი „უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში“ შო. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი 2017.
13. მექვაბიშვილი ე., „თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები“, თბილისი, 2012წ.;
14. მოსიაშვილი ვ., „გასაღებისა და პროდუქციის წარმოების ზრდის გავლენა ინვესტიციებზე“, ყოველკვარტალური რეფორმირებადი სამეცნიერო ჟურნალი-ბიზნეს ინჟინერინგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
15. პაპავა ვ., „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“, თბილისი 2002წ.;
16. პრისიჟიანუკი. ი., სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების გავლენა ევროკავშირის წევრი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ჟურნალი „ეკონომისტი“ N 1. გვ. 95-103. 2017.
17. საბაძე ე., „საქართველოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების გზები“, თბილისი 2016.
18. ფუტყარაძე ნ., „საინვესტიციო პროექტების მართვის თეორია და პრაქტიკა“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2013.
19. ყუფარიძე გ., საგადასახადო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების მოცულობაზე, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ეკონომიკა. გვ. 32-40, 2013.
20. ჭარაია ვ., სადისერტაციო ნაშრომი „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე)“, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.
21. ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ., „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება“, ლექციების კურსი, თსუ, 2012წ.;
22. ხადური ნ., „საქართველოს ეკონომიკის დერეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები“, ჟურნალი „ეკონომისტი“, „Economisti“ №1, 2009 წ. ქ. თბილისი. http://pgie.tsu.ge/contentimage/1__2009.pdf;

23. ჩიქობავა მ., კეინზიანური და მონეტარისტული თეორიების შედარებითი ანალიზი. ჟურნალი „ეკონომისტი“, „Ekonomisti“ N4, 2018წ. ქ. თბილისი; <https://ekonomisti.tsu.ge/doc/2-2019.pdf> ;
24. Clark, L. M., “Business Acceleration and the Law of Demand: A Technical Factor in Economic Cycles”, Journal of Political Economy, Vol. 25, No. 3, United Kingdom, March 1917, pp. 217-23
25. Keynes J.M., “The General Theory of Employment , Interest and Money”, 1936;
26. OECD 2012: Foreign Direct Investment for Development MAXSIMISING BENEFITS, MINIMISING COSTS Overview;
27. Razin A., Loungani P., “how Beneficial is foreign Investment for Developing Countries”, June 2001, Number 4 <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2001/06/loungani.htm>
28. Rittenberg, L., Tregarthen, T., “Principles of Macroeconomics”, Vol. 1.0, March 2009.
29. Samuelson, P.A., “Interactions Between the Multiplier Analysis and the Principle of Acceleration”, Review of Economic Statistics Vol. 21, No 2, Published by Harvard University, United States, 1939, pp. 75–78
30. Weil, D. N., “Economic Growth”, Brown University, Vol. 3, United States, June 2013.

ინტერნეტრესურსები:

1. “ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია და სამომავლო გეგმა“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. http://www.economy.ge/uploads/files/2017/news/2019/invest_in_georgia_20_21.pdf
2. ინვესტიციების პროგნოზირების საკითხები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე: nplg.gov.ge;
3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhour-i-investitsiebi>;
4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმოხილვა: <https://forbes.ge/blog/185/pirdapiri-ucxouri-investiciebis-mimoxilva>;
5. საინვესტიციო გარემოს არსი და მისი შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH01fcd9a1f5cba56bc37535b4.7.3>>

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: economy.ge
7. საქართველოს ეროვნული ბანკი: nbg.gov.ge
8. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის: http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
9. საქართველოს საგადასახადო კოდექსი,, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>
10. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია , „საქართველო 2020“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
11. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASH30e9b9383dc3dae95c178d>=1>
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.Geostat.ge
13. ჟურნალი „ტაბულა“: <https://www.tabula.ge/ge/story/172819-2020-tslis-i-kvartalshipirdapiri-ucxouri-investiciebi-417-it-shemcirda>; <https://www.tabula.ge/ge/story/166398-qveknebi-saidanac-2019-tsels-kvelaze-meti-investicia-shemovida>